

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია**

**LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA**

**მენეჯმენტი - მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე
გამოწვევები**

**ინფორმატიკა - ადამიანები და ჯკვიანი
პროგრამები, ხელოვნური ინტელექტი**

**თავდაცვა და უსაფრთხოება - თავდაცვისა და
უსაფრთხოების ყოველწლიური კონფერენცია,
2021 წლის გამოწვევები**

**Management - Modern Challenges of the World
Economy**

**Informatics - People and Smart Programs,
Artificial Intelligence**

**Defense and Security - Annual Defense and Security
Conference, Challenges of 2021**



სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE
2021

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



მენეჯმენტი - მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები

**ინფორმატიკა - ადამიანები და ჭკვიანი პროგრამები, ხელოვნური
ინტელექტი**

**თავდაცვა და უსაფრთხოება - თავდაცვისა და უსაფრთხოების
ყოველწლიური კონფერენცია, 2021 წლის გამოწვევები**

**Management - Modern Challenges of the World
Economy**

**Informatics - People and Smart Programs,
Artificial Intelligence**

**Defense and Security - Annual Defense and Security Conference,
Challenges of 2021**

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

9 დეკემბერი 2021

კონფერენციის ხარისხიანად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შეიქმნას სამეცნიერო კრებული კონფერენციის სარედაქციო კოლეგია (შემდგომში-კოლეგია) შემდეგი შემადგენლობით:

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ბრიგადის ბენერალი მამია ბალახაძე სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რედაქტორი

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი დავით რაზმაძე ეროვნული თავდაცვის აკადემიის რედაქტორის მოადგილე

სტილისტი / კომპიუტერული უზრუნველყოფა

სალომე კოკიაშვილი ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისთანხმური სწავლების ცენტრის მთავარი სპეციალისტი

სარედაქციო კოლეგიის წევრები

ვიცე პოლკოვნიკი თინათ ჯაფარიძე აკადემიის მაგისტრატურის ხელმძღვანელი

ნიკოლოზ სამხარაძე აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

გიორგი შიშხველაშვილი აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ფურაბ აბლაძე აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი

ნინო ოხანაშვილი აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი

შადიმან ბინაძე აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი

ქეთევან ჩახავა აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასისტენტ-პროფესორი

ქეთევან მესხიძე აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასოცირებული პროფესორი

გიორგი კბილცეცხლაშვილი აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის რესურსების მართვის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

ნიკოლოზ ესიტაშვილი ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი



სარჩევი

კოვიდ პანდემია და ფსიქოლოგიური სტრესები მარიამ ბასიშვილი	7
უკრაინის კრიზისი და სტრატეგიული მიზნის მიღწევის რუსული მეთოდები თორნიკე გვარამიანი	11
თანამედროვე კომუნიკაცია: ვებინარები სალომე დავითიშვილი	17
ინფლაციის რეგულირება მონეტარული პოლიტიკით: თეორიული საკითხები ვასო ბერელიძე	23
კოსტკრიზისული პანდემიური პერიოდის გამოწვევები 2021 ჯემალ ფიროსმანაშვილი	29
დაზვერვის როლი ერაყის 2003 წლის კონფლიქტში თორნიკე ფიჩხნარაშვილი	33
ბუშის დოქტრინა და ძალის გამოყენების პრობლემები ამერიკის საგარეო პოლიტიკაში ლუკა შამუგია	38

Table of Contents

Covid pandemic and Psychological stresses Mariam Basishvili _____	8
Crisis in Ukraine and Russian Methods of Achieving Strategic Goals Tornike Gvarmiani _____	12
Modern Communication: Webinars Salome Davituliani _____	18
Regulating inflation through monetary policy: Theoretical issues Vaso Berelidze _____	24
Challenges of the Post-Crisis Pandemic Period 2021 Jemal Piroshmanashvili _____	30
Role of intelligence in Iraq 2003 conflict Tornike Pichkhonarashvili _____	34
The Bush Doctrine and the Problems of the Use of Force in American Foreign Policy Luka Shamugia _____	39

კოვიდ პანდემია და ფსიქოლოგიური სტრესები

მარიამ ბასიშვილი

**სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
მენეჯმენტის მიმართულება**

ხელმძღვანელი: ასისტენტი პროფესორი რამაზ ჩიჩუა

აბსტრაქტი

ნაშრომში გადმოცემულია თუ როგორ მოქმედებს სხვადასხვა ფსიქოლოგიური მდგომარეობა პიროვნებების ქცევებსა და მოქმედებებზე. რაოდენ დიდი გავლენა ადამიანისთვის ის ფაქტი, რომ წინ დიდი განსაცდელი ელის, როგორ შეხვდება ის ამ განსაცდელს და რა გრძნობები იქნება მასში დომინანტური.

ნაშრომში ნაჩვენებია თუ როგორ მოქმედებს ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა მის ქმედებებზე, რამდენად შეუძლია ბრძნის, პანიკას, გაოცებას, დაძაბულობას და ასე შემდეგ, მისი ქმედების განსაზღვრა.

აღწერილია როგორ ახდენენ ფსიქოლოგები მსგავსი ქცევებისა და არამდგრადობის შეფასებას.

ნაჩვენებია სტატისტიკური მონაცემები იმისა თუ როგორ შეცვალა პანდემიამ 2019 წლის საქართველო და როგორ ვითარდება, ყალიბდება და იდგამს ფესვებს ის დღესდღეობით.

ნაშრომის მიზანია აჩვენოს, როგორ ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე სტრესული მდგომარეობები გავლენას, რას შეიძლება დაუკავშიროთ ეს ცვლილებები და როგორ შეიძლება მათი აღმოფხვრა.

საკვანძო სიტყვები: სტრესი, აგრესია, კოვიდ პანდემია, ფსიქოლოგია.

Covid pandemic and Psychological stresses

Mariam Basishvili

LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Baccalaureate

Direction of management

Supervisor: assistant professor Ramaz Chichua

Abstract

In the paper there is discussion about how can different psychological condition change persons actions. How big influence is for human that they are going to have big temping, how will they get all bad situations and what feeling is dominant.

In the paper you can see how can actions work with human psychology and than with humans actions, how can anger, panic, examination, tension and ect to define persons action.

The paper also shows you how they are valued from Psychologists.

In the paper you can also see statistical data of differences how pandemic situation changed 2019 Georgia and how it goes nowadays.

The papers purpose is to show you, how can humans psyche control each of our steps, where is that changes from and how can we go through all of that.

Keywords: stress, aggression, covid pandemic, psychology.

შესავალი

ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე დღესდღეობით ჩვენს რეალობაში მრავალი ჩვენთვის უსიამოვნო ფაქტი ფიქსირდება. ადამიანები ფინანსურად, ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად, მთლიანად არიან ჩართული იმაში, რაც 2019 წელს გავრცელებულმა ვირუსმა covid-19-მა გამოიწვია („Disease 2019“).

მოულოდნელმა კოვიდ პანდემიამ ადამიანების ყოველდღიურობა შეცვალა, რამაც ადამიანები პანიკაში ჩააგო, გამოხატავდნენ აგრესიას როგორც უცხო, ისე მათთვის ცნობილი პიროვნებების მიმართ, საბოლოოდ კი აღმოვჩნდით ვითარებაში სადაც სიტუაცია მეტად მძიმე იყო და საშველიც არსად ჩანდა.

ნაშრომში ვეცადეთ წარმოგვედგინა კოვიდ პანდემიის დროს შექმნილი პრობლემები ფსიქოლოგიური გაგებით, რადგან მეტწილად ეს ქაოსი სწორედ ადამიანების ფსიქოლოგიურმა არამდგრადობამ გამოიწვია. ზიზღი, ბრაზი, აგრესია, ფიზიკური დაპირისპირება, ყველაფერი ეს ახსნილი და გადმოცემულია მრავალი ფილოსოფოსისა თუ ფსიქოლოგის კვლევებსა და სტატიებში.

სტატიაში აღნიშნულია თუ რაოდენ იმოქმედა ოჯახების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე პანდემიამ, იმატა ოჯახში ძალადობამ, განქორწინებამ, ადამიანებმა ერთმანეთის მიმართ ნდობა და პატივისცემა დაკარგეს, ეს ფაქტები კი სწორედ ფსიქოლოგიური მდგომარეობის ახსნით შეგვიძლია გადმოვცეთ.

სტატიაში შევეცადეთ გამოგვეკვეთა ამ გამოწვევის ფსიქოლოგიური სახე რის წინაშეც დგას დღესდღეობით არა მხოლოდ საქართველო არამედ მსოფლიო. შევეცადეთ თვალსაჩინოდ გაჩვენოთ თუ რაოდენ შეიძლება იმოქმედოს ადამიანის შინაგან მდგომარეობაზე გამოწვევებმა, რომელიც მოულოდნელად ატყდება მას თავს.

სიტყვა სტრესი სამედიცინო ლექსიკონში პირველად Hans Selye-მ გამოიყენა, როგორც სხეულის არასპეციფიკური პასუხი ნებისმიერ მოთხოვნაზე (Hans Selye, 1956 comment on Chicago Manual of Style, The stress of life). Selye არის ცნობილი, როგორც სტრესის კვლევის მამად.

ფსიქოლოგიური სტრესი ეს არის ჩვენი სხეულის პასუხი ნებისმიერ ცვლილებაზე, მუქარაზე ან ჩვენდამი ზეწოლაზე გარე ძალებისგან, ან ზიგნიდან (Hans Selye, 1956, comment on Chicago Manual of Style, The stress of life).

დღესდღეობით სტრესი, რომელსაც განვიცდით წარმოებულია ჩვენს გონებაში. ყოველდღიურად ჩვენ სხვადასხვა გამოწვევას ვიღებთ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სტრესი. მაგალითად: სამსახურის დაკარგვა, ოჯახური შელაპარაკება აქ თავისუფლად შეგვიძლია დავამატოთ კოვიდ პანდემიის დაწყება ვინაიდან სტრესული მდგომარეობა თვალსაჩინო იყო, სწორედ ამ გარე ზემოქმედებებიდან გამოწვეულია ადამიანის შფოთვა (The stress of life ,Hans Selye, 1956).

Selye-მ გამოარჩია სასიამოვნო სტრესი რომელსაც მან ეუსტრესი (eustress) და უსიამოვნო სტრესი რომელსაც დისტრესი (distress) უწოდა (Hans Selye, 1956, comment on Chicago Manual of Style, The stress of life).

იმისთვის რომ გავიგოთ ჩვენ როგორი სახის სტრესში ვიმყოფებით საჭიროა ამის გამომწვევი მიზეზები დავადგინოთ, მაგალითად: ქორწილი, დაბადებისდღეები, ჯილდოების მიღება, ძველ მეგობრებთან შეხვედრა და ასე შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება, პოზიტიური თუ ნეგატიური, იწვევს ჩვენი სხეულის პასუხს ადაპტაციის მიზნით და გვაბრუნებს შემდეგ უკან ჩვენს ყოველდღიურ მშვიდ მდგომარეობაში.

სტრესი ასევე შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც დაუბალანსებლობა მოთხოვნილებებსა და იმის შესაძლებლობას შორის რამდენად შეგვიძლია ამ მოთხოვნილების შესრულება ჩვენი თავისთვის (Hans Selye, 1956, comment on Chicago Manual of Style, The stress of life)

როდესაც სტრესი იმდენად რთული გადასატანია ჩვენ ცხოვრებაში, რომ ის გვაშფოთებს და აუტანელს ხდის ჩვენს სიცოცხლეს, განსაკუთრებით მაშინ როცა ეს სტრესი განცდილია პატარა ასაკში, ჩვენი მესხიერება იწვევს ჩვენი გონების განმენდას, შედარება რომ მოვიყვანოთ კონპიტერში წაშლის (delete) ლილავს (Hans Selye, 1956 ,comment on Chicago Manual of Style, The stress of life)

ქცევის მრავალი სახე არსებობს: მკვლელობა, სექსუალური ძალადობა, თავდასხმა, ცოლ-შვილის ცემა და სხვა. ეს არის ქცევა რომელსაც აგრესია უწოდეს. დროთა განმავლობაში ადამიანებმა ჩამოაყალიბეს საზოგადოებრივი ნორმები და როლები, საზოგადოების ერთი ნაწილისათვის „ბავშვის დასჯა“ მისაღებია იმ მოტივით რომ ეს არის სააღმზრდელო ქმედება, რადგან საზოგადოებისთვის მიუღებელია ცოლისთვის ან შვილისთვის ზიანის მიყენება, მსგავსი სახელით ქცევის გამართლება კი ზოგისთვის მისაღებია. მაგრამ საბოლოოდ მივდივართ იმ ფაქტამდე, რომ ამ ქცევით ერთი ადამიანი მეორეს აყენებს ზიანს და ტანჯვას, ეს კი აგრესიის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია (მარინა ბალიაშვილი, 2010, comment on Chicago Manual of Style, სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ჩნდება კითხვები, ვინ არის აგრესორი? რა სიტუაციები იქმნება აგრესიის დროს? ვინ არის აგრესორის სამიზნე?

აგრესორი არის ადამიანი რომელიც მიზანმიმართულად აყენებს ზიანს მეორე ადამიანს, ამის უმთავრესი მიზეზი კი ბრაზია (მარინა ბალიაშვილი, 2010, comment on Chicago Manual of Style, სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები).

აგრესიის თეორიის თანახმად, აგრესიის მთავარი გამომწვევი მიზეზი მარცხის განცდაა. (სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, მარინა ბალიაშვილი). მაგალითად რომ მოვიყვანოთ კოვიდ პანდემიის დაწყების პერიოდი, ადამიანები მარცხს მუდმივად განიცდიდნენ გამომდინარე იქიდან რომ უმუშევრობის დონე 2019 წელს 17.6% (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa>) იყო,

მცირე მენარმეები ვეღარ ახერხებდნენ საქმის წარმოებას ვინაიდან შეიზღუდა გადაადგილება, გამოცხადდა კომენდანტის საათი, შეიზღუდა თავშეყრის ადგილებზე ადამიანების რაოდენობა და ასე შემდეგ. მოკლედ რომ ვთქვათ უცებ აფეთქებულმა ვირუსმა რომლის ვაქცინაზეც ნაფიქრიც კი არავის ქონდა იმ დროს, ვინაიდან თვითონ ვირუსიც უცხო იყო მთლიანად სამყაროსთვის, ადამიანებს გაუღვივა მთელი რიგი ბრაზის გამომწვევი მიზეზები და აღმოცენდა პირველი ფაზა აგრესიის დაწყების.

მაღალი აგზნების დროს ინდივიდი ინფორმაციას ვეღარ ამუშავებს, ზემოთ მოყვანილი პრობლემებიდან გამომდინარე კი ადამიანებმა დაიწყეს შეფასება იმ მდგომარეობის, რომელიც თავს ნელ-ნელა ატყდებოდა. ისინი თანდათან იაზრებდნენ, რომ მათ თავს რაღაც უცნაური ხდებოდა და დროულად უნდა მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილებები და ამის მიხედვით ემოქმედათ. გააპროტესტებდნენ თუ არა უხელფასო შვებულებაში გაშვებას, ბავშვების სკოლებიდან და ბაღებიდან არაკოორდინირებულად გამოშვებას და არეული სისტემით შექმნილ ქაოსს უფრო ქაოტურს აქცევდნენ, დაიწყებდნენ თუ არა კანონების დარღვევას პროტესტის მიზნით და ასე შემდეგ.

როგორც აღვნიშნეთ ადამიანში აღმოცენებული აგზნების დონე განსაზღვრავს მისი ბრაზის დონეს, ბრაზი კი უკვე აგრესიად ფორმირდება და შესაბამისი ქმედება მოჰყვება. სამსახურიდან უხელფასოდ გამოშვებულმა ადამიანებმა მათი ბრაზის ოჯახის წევრებზე გადმონთხევა დაიწყეს, საქართველოში 2019 წელს რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა განქორწინების, 11,205 ადამიანის ოჯახი დაინგრა (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/585/sakstati-100-tseli>)

თვალსაჩინოდ ჩანს თუ როგორ მოქმედებს სტრესული მდგომარეობა ადამიანის ბრაზის ფაზების განვითარებაზე, აგრესიად გადაქცევაზე და შემდეგ უკვე ქცევის ფაზის ფატალურ შედეგამდე მიყვანაზე.

ადამიანები საზოგადოებრივ ნორმებს იცავენ და მიჰყვებიან მას, როდესაც საზოგადოებრივი ნორმა ირღვევა ჩვენ ამაზე უარყოფითად ემოქმედებთ. ერთ-ერთი ასეთი ნორმაა ზნე-ჩვეულება, რომელიც გვაძლევს საშუალებას სამართლიანი ქცევის წესების დადგენაში, „მოექცეი ისე სხვას, როგორც გინდა რომ სხვები მოგექცნენ შენ“ (მთავარეპისკოპოსი ზოსიმე, 1983, comment on Chicago Manual of Style, მეზვერისა და ფარისევლის კვირა). ჩემი გადმოსახედიდან 2019 წელს სავაჭრო ქსელში შექმნილი სიტუაციები ადამიანის ზნე-ჩვეულებების მარცხი იყო, პანიკაში ჩავარდნილებმა დაიწყეს სხვადასხვა საქონელის დიდი რაოდენობით შესყიდვა, ერთი ადამიანი იმდენ ნივთს ყიდულობდა რამდენიც სინამდვილეში საერთოდ არ სჭირდებოდა მას.

ადამიანებზე სტრესი და პანიკა სწორედ ასე მოქმედებს, ისინი საზოგადოებრივ ნორმებს ივიწყებენ, თუმცა როგორც დარვინის თეორია გვუბნება, გადარჩებიან ისინი ვინც უკეთ არიან გარემოს შეგუებულები, [მარინა ბალიაშვილი, 2010, comment on Chicago Manual of Style, სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები] ადამიანებმა უნდა შეწყვიტონ ახალ ამბებზე უარყოფითად მოქმედება და იფიქრონ იმაზე რომ რაც არ უნდა ეცადონ ბუნებრივი გადარჩევა მაინც ყველაზე ძლიერებს დატოვებს ამ ქვეყნად.

ფიქრობ, სოციალური მოლოდინების შესაბამისი ქცევისთვის ასევე მნიშვნელოვანია კულტურა. არსებობს ცნება კულტურული დიფუზია, მაგალითად როცა მისწრაფება გვაქვს ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსი ვიყოთ და საზოგადოება ცდილობს მათი ქმედებების გადმოღებას ამ დროს კულტურული დიფუზია ხდება, საზოგადოებები მუდმივად იცვლებიან, მიუხედავად ამისა გადარჩევის ერთადერთი საბოლოო კრიტერიუმი გადარჩენაა, გადარჩებიან ისინი ვისაც კულტურული ნორმები ზედმინევით აქვთ გააზრებული, ვინაიდან ის კულტურები ახერხებენ შემონახვას რომლებმაც ადამიანების გადარჩენა გამოიწვია, ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ, პირბადის ტარების კულტურა, დისტანციის კულტურა, ისეთი დებულებები რომლებიც ჩვენი თაობებისთვის უზრუნველყოფილ სიცოცხლეს დაუდებს საფუძველს მომავალში.

დასკვნა

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადეთ წარმოგვეჩინა თუ რაოდენ დიდი გავლენა აქვს ადამიანის ფსიქიკას მის ქმედებებზე, გარე სიტუაციას, განვიხილეთ სამი მთავარი ფსიქიკური მგომარეობა: სტრესი, აგრესია, ბრაზი.

დასკვნის სახით ვივარაუდებთ, რომ სტრესი ინდივიდზე ახდენს ისეთ გავლენას რომელიც შემდეგ უკვე გადაიზრდება ბრაზში და აგრესიის სახით სხვადასხვა ქცევად გვევლინება.

ადამიანები მეტად უნდა ეცადონ თავი აკონტროლონ ისეთ სტრესულ სიტუაციებში როგორიც არის სამსახურის დაკარგვა, რეგულაციები, ვირუსული პანდემია, დაავადების შიში და სხვა. დაუშვებელია მიეცენ პანიკას, რომელიც შემდეგ უკვე საზოგადოების მიმართ ბრაზსა და აგრესიაში გადაიზრდება, იგი შეიძლება შემდეგში გამოხატული იქნას როგორც ოჯახის წევრების მიმართ ასევე საზოგადოებადმი.

ვთვლით, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მდგრადობის შენარჩუნებაა და საზოგადოებრივი ნორმების ზედმინევით შესრულება.

გამოყენებული ლიტერატურა

სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები- მარინა ბალიაშვილი, 2010

The stress of life -Hans Selye, 1957

მეზვერისა და ფარისევლის კვირა- მთავარეპისკოპოსი ზოსიმე, 1983

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/585/sakstati-100-tseli>

უკრაინის კრიზისი და სტრატეგიული მიზნის მიღწევის რუსული მეთოდები

თორნიკე გვარამია

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულება

ხელმძღვანელი: პროფესორი ლევან გიგეშიძე

აბსტრაქტი

ოცდამეერთე საუკუნემ შემოიტანა ახალი გამოწვევები სამხედრო გადაწყვეტილების მიღების ყველა ასპექტში, თანამედროვე ბრძოლის ველი მოითხოვს მოქნილ სარდლობის სტრუქტურას და კომპლექსურ უსაფრთხოების ზომებს. ნაშრომში განხილულია რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული მიზნები უკრაინაში და მის მიერ ამ სტრატეგიული მიზნის მიღწევისთვის გამოყენებული სამხედრო და არასამხედრო მეთოდები, ნაშრომის მიზანია მოახდინოს რუსეთის სტრატეგიული მიზნების გამოკვლევა და მის მიერ გამოყენებული მეთოდების შესწავლა. ინფორმაცია მოძიებულია კვლევებიდან და საინფორმაციო საშუალებების სტატიებიდან. ამ კონფლიქტის შესწავლა და გაგება აქტუალურია განსაკუთრებით ქართულ აკადემიურ სივრცეში, რადგან შესაძლებელია რომ საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მთავარმა მტერმა რუსეთის ფედერაციამ საქართველოში საკუთარი მიზნების მისაღწევად იგივე ტაქტიკას და მეთოდებს მიმართს.

საკვანძო სიტყვები: მედია ნარატივი, ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფი, გასამხედროებული ორგანიზაციები, სტრატეგიული მიზნები, საინფორმაციო ომი.

Crisis in Ukraine and Russian Methods of Achieving Strategic Goals

Tornike Gvarmiani

LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Baccalaureate
Defense and Security of management

Supervisor: Proffessor Levan Gegeshidze

Abstract

The twenty-first century has introduced new challenges in all aspects of military decision-making, with the modern battlefield requiring a flexible command structure and complex security measures. The paper discusses the strategic goals of the Russian Federation in Ukraine and the military and non-military methods used by it to achieve this strategic goal. Information is obtained from surveys and media articles. The study and understanding of this conflict is especially relevant in the Georgian academic space, as it is possible that the Russian Federation, the main enemy of Georgia's sovereignty and territorial integrity, will use same tactics and methods to achieve its goals in Georgia.

Keywords: media narrative, battalion tactical group, paramilitary organizations, strategic goals, information warfare.

შესავალი

2014 წელს რუსეთის ფედერაციამ საკუთარი აგრესიული საგარეო პოლიტიკა ახალ ეტაპზე აიყვანა, ამის მიზეზი იყო უკრაინაში განვითარებული მოვლენები. 2013 წლის 21 ნოემბერს მეტნაკლებად პრორუსული განწყობების მქონე პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა ევროკავშირთან ასოციაციის ხელშეკრულებაზე უარი თქვა რის შემდეგაც უკრაინის მოსახლეობამ მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, იანუკოვიჩმა ძალით სცადა პოზიციის შენარჩუნება რამაც პროტესტის ძალადობრივ ეტაპზე გადასაცვლება გამოიწვია, რასაც ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დაგეგმვა და იანუკოვიჩის რუსეთში გაქცევა მოჰყვა. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრ ტურჩინოვმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინის მომავალი ევროპასთან და ევროკავშირთან იყო დაკავშირებული, რამაც გაღიზიანება გამოიწვია კრემლში. ჩვენი აზრით რუსეთის მოქმედებები შეიძლება დაიყოს ორ მიმართულებად, მთავარი და მეორეხარისხოვანი. მთავარი მიმართულება იყო ყირიმის ნახევარკუნძული და მისი სრული ანექსია, ხოლო მეორეხარისხოვანი მიმართულებები იყო პრორუსული განწყობების მოსახლეობის მქონე ქალაქები აღმოსავლეთ უკრაინაში. ნაშრომის მიზანია შეისწავლოს რა სტრატეგიული მიზანი აქვს რუსეთს უკრაინაში? რა სამხედრო და არასამხედრო მეთოდებს იყენებს რუსეთი სტრატეგიული მიზნის მისაღწევად? რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს ამ მეთოდებს?

რუსეთის სტრატეგიული მიზანი

პოსტ საბჭოთა სივრცეს რუსეთი მიიჩნევს საკუთარი უშუალო ინტერესის სფეროდ, სადაც მისი გადმოსახედიდან დასავლეთის პოლიტიკური ზეგავლენის გავრცელება რუსეთისათვის დასასრულის ტოლფასია. რუსული ტერმინი „Русский мир“ მოიცავს ყველა ეროვნებას და სახელმწიფოს რომელზეც ოდესმე ჰქონია პრეტენზია რუსეთს და ის ძირითადად ემყარება საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილ სახელმწიფოებს, რომლებსაც რუსული ენა აერთიანებს. ევროკავშირის სულ უფრო აქტიური ინტეგრაციის მცდელობების გამო პოსტ საბჭოთა სივრცეში, რუსეთმა შეიცვალა საკუთარი პოზიცია დასავლეთის მიმართ, რუსულ მედიაში ევროპა და ევროკავშირი ხშირადაა მოხსენიებული როგორც დეკადენტური, ორგანიზაცია რომელმაც დაკარგა ევროპული ფასეულობები, ამის საპირწონედ რუსეთი საკუთარ თავს წარმოაჩენს, როგორც ქრისტიანული, ევროპული ფასეულობების დამცველად, მემოთხსენებული იდეოლოგიური ნარატივის გასაძლიერებლად რუსეთი აქტიურად უჭერს მხარს მემარჯვენე პოპულისტ პარტიებს და ინტეგრაციის მოწინააღმდეგე ჯგუფებს ევროპის ქვეყნებში და პოსტ საბჭოთა სივრცეში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეგვიძლია უკრაინის კრიზისი აღვიქვათ ერთი მხრივ როგორც რუსეთის მცდელობა გაიუმჯობესოს სტრატეგიული მდგომარეობა შავ ზღვაში ყირიმის ანექსიით, ხოლო მეორე მხრივ რუსეთს ღია დაპირისპირება ევროპასთან, ევრეთნოდებული „წითელი ხაზის“ გავლენად, რომლის გადალახვის უფლებაც არავის არ აქვს. ასევე გასათვალისწინებელია რუსეთის მიერ ანექსირებული ყირიმის გეოპოლიტიკური მდებარეობა. ყირიმი არის შავი ზღვის კონტროლისთვის აუცილებელი ტერიტორია, სწორედ ამიტომ მისი გადაცემის შემდეგაც რუსეთს არ დაუთმია სევასტოპოლის პორტი და ფლობდა მას იჯარის წესით. რუსეთის მოქმედებებს უკრაინაში ასევე აქვს შიდაპოლიტიკური მიზეზები, რუსმა მაღალჩინოსნებმა არაერთხელ დაახასიათეს „ფერადი რევოლუციონერები“ როგორც საგარეო აგრესიის აქტები რომელთა მიზანია დაესტაბილიზაციის გამოწვევა, მათი განცხადებით მსგავსი მოქმედებები არის ომის თანამედროვე სახე, ვლადიმერ პუტინმა კი განაცხადა რომ რუსეთი უნდა ეცადოს „ფერადი რევოლუციებისათვის“ ხელის შეშლას: „ჩვენ ვხედავთ, რა ტრაგიკული შედეგები მოჰყვა ე.წ ფერადი რევოლუციების ტალღას. ჩვენთვის ეს არის გაკვეთილი და გაფრთხილება. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მსგავსი არაფერი მოხდეს რუსეთში“¹. მაიდანის პროტესტების მიმართ ასეთ მკვეთრი დამოკიდებულება სავსებით გასაგებია რუსეთს მხრიდან, წარმატებული პროდასავლური რევოლუციის უპასუხოდ დატოვება რუსეთის შიდა უსაფრთხოებისთვის უდავოდ დიდი საფრთხის შემცველი იქნებოდა.

რუსული მეთოდები

უკრაინის მხრიდან დასავლეთის მიმართ სულ უფრო თბილი დამოკიდებულების ფონზე, რუსეთის მთავარი მიზანი იყო ყირიმის ნახევარ კუნძული არ დარჩენილიყო ნატოს პოტენციური წევრი სახელმწიფოს ხელში. რუსული ქვედანაყოფების ყირიმში აღმოჩენამდე სანამ მსოფლიოს ყურადღება კიევზე იყო გადატანილი, ადგილი ჰქონდა რამდენიმე საგანგაშო შემთხვევას, პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაციები, „პატრიოტული კაზაკური“ დაჯგუფებები აქტიურად მართავდნენ მაიდანის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებს ყირიმში². რუსეთმა ყირიმის ხელში ჩასაგდებად ეფექტურად გამოიყენა, როგორც საკუთარი სამხედრო ასევე ადგილობრივი სამოქალაქო პირები, ევრომაიდანის აქციებამდეც ყირიმის ავტონომიური ოლქის უმაღლესმა რადამ გამოთქვა პროტესტი ევროპასთან ასოციაციის ხელშეკრულების წინააღმდეგ³. მიუხედავად იმისა რომ რუსეთს მიერ ყირიმში შეჭრა და მისი ანექსირება აშკარად დაგეგმილი,

1 Korsunskaya, Darya . News.Yahoo. November 20, 2014. [https://news.yahoo.com/putin-says-russia-must-guard-against color-revolutions-135807378.html](https://news.yahoo.com/putin-says-russia-must-guard-against-color-revolutions-135807378.html) (accessed December 03, 2021).

2 Cosgrove, Jonathon . *THE RUSSIAN INVASION OF THE CRIMEAN PENINSULA A Post–Cold War Nuclear Crisis Case Study*. National Security Report, Laurel: JOHNS HOPKINS, 2020.

3 U.S. Army Special Operations Command. *“little Green Men”: A Primer On Modern Russian Unconventional Warfare, Ukraine 2013–2014*. Fort Bragg, North Carolina: U.S. Army Special Operations Command, 2016.

წინასწარ შემზადებული ოპერაცია იყო, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მხოლოდ იანუკოვიჩის გადაყენებას მოჰყვა საპასუხოდ. 22 თებერვალს იანუკოვიჩის გადაყენების შემდეგ რუსეთის მთავარი დაზვერვის განყოფილების⁴ ქვედანაყოფები გაიგზავნა რუსული სტრატეგიული ობიექტების დასაცავად ყირიმში.⁵ რუსული სამხედრო კოლონა ქალაქ ნოვოროსიისკის გავლით მიუახლოვდა ყირიმს ხოლო გვარდიის 45-ე ცალკეული სპეცდანიშნულების ბრიგადა შეველმფრენებით იქნა გადასროლილი ანაპაში ყირიმთან ახლოს. 26 თებერვალს საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი ამტკიცებდა რომ რუსეთს ჰქონდა მტკიცე ჩაურევლობის პოლიტიკა უკრაინის მოვლენებთან მიმართებაში⁶. სწორედ თებერვლის მიწურულს გამოჩნდნენ პირველად ეგრეთწოდებული “პატარა მწვანე კაცუნები” რომლებიც თანამდროვე რუსულ კომუნიკაციებში იყვნენ აღჭურვილი, განმასხვავებელი ნიშნების გარეშე, ისინი იკავებდნენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან წერტილებს, უკრაინულ ბაზებს, აეროპორტებს, ადმინისტრაციულ შენობებს და აყენებდნენ ბლოკპოსტებს მნიშვნელოვან გზებზე. ოფიციალური მოსკოვი უარყოფდა ყირიმში რუსული ქვედანაყოფების არსებობას. 6 მარტს რუსულმა შავი ზღვის ფლოტმა მოახდინა უკრაინული ფლოტის ბლოკადა, რუსეთმა ასევე მოახდინა მთელი რეგიონის ბლოკირება უკრაინის საზღვარზე წვრთნების ჩატარებით, 9 მარტს ოფიციალურმა კიევმა განაცხადა რომ ის არ აპირებდა ყირიმში უკრაინული არმიის გაგზავნას, მომდევნო დღეებში რუსულმა ძალებმა მოახდინეს უკრაინული ბაზების ალყაში მოქცევა და იზოლაცია ამავედროულად დაიწყო პოლიტიკური მობილიზაცია ყირიმის წამყვან პოზიციებზე პრორუსული მოქალაქეების მოსაყვანად.⁷ დიდი ალბათობით 6000-7000 რუსი სამხედრო რომელთა მობილიზებაც მოხდა რუსეთში შეადგენდნენ სხვადასხვა ქვედანაყოფების ნარევს. შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ ესენი იყო, შავი ზღვის ფლოტის 810-ე საზღვაო ქვეითთა ბრიგადის 2000 სამხედრო მოსამსახურე.⁸ რუსეთმა არმია გამოიყენა ყირიმში უკრაინული ძალაუფლების პარალიზებისთვის, უკრაინის არმიაში და პოლიციაში მოსამსახურე პირები უკეთეს შემთხვევაში უბრალოდ აბარებდნენ იარაღს და ტოვებდნენ ბაზებს, ხოლო უარსე შემთხვევაში პირდაპირ გადადიოდნენ რუსეთის მხარეს. რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ 17 აპრილს პუტინმა საბოლოოდ აღიარა რომ ყირიმში მოქმედი ქვედანაყოფები ეკუთვნოდა რუსეთის არმიას, მისი თქმით რუსეთს არ უნდოდა რომ ყირიმის რეფერენდუმზე გავლენა მოეხდინათ უკრაინულ ტანკებს და ნაციონალისტურად განწყობილ შეიარაღებულ დაჯგუფებებს.⁹ მიუხედავად ამისა რუსეთმა აქტიურად გამოიყენა მედია რომელსაც ჰქონდა რამოდენიმე მთავარი ნარატივი, ესენი იყო: უკრაინაში დარჩენის შემთხვევაში რუსული ენის და კულტურის აკრძალვა, ფაშისტური ნაციონალისტური ძალების მმართველობის მოსვლა კიევში და უკეთესი ეკონომიკური მომავალი რუსეთის შემადგენლობაში. რუსული პროპაგანდის მუშაობის შესასწავლად ყირიმი კარგი მაგალითია, რუსეთმა პირველად ყირიმში დაიწყო აქტიურად უკრაინის როგორც სახელმწიფოს არარსებობის შესახებ საუბარი, მაგალითად სერგეი ლავროვმა რუსეთის მიერ ბუდაპეშტის ხელშეკრულების¹⁰ დარღვევასთან დაკავშირებით განაცხადა რომ უკრაინის მოქმედი მთავრობა არ იყო ლეგიტიმური ამიტომ მას არ ჰქონდა უფლება ბუდაპეშტის მემორანდუმის მემკვიდრეობაზე ჰქონოდა პრეტენზია¹¹. აღსანიშნავია რომ რუსი პოლიტიკოსები ხშირად უკრაინის ან უკრაინის მთავრობის ნაცვლად ხმარობენ ტერმინს „ფაშისტური ხუნტა“, რაც კიდევ უფრო ახდენს უკრაინის დისკრედიტაციას, ეს ტაქტიკა იმისთვის გამოიყენება რათა შეიქმნას ისეთ გარემო სადაც უკრაინის ნებისმიერი მთავრობა წარმოჩენილი იქნება, როგორც არალეგალური მოთამაშე, რომელსაც არ აქვს უფლება საერთაშორისო სამართალზე გააკეთოს აპელაცია. რუსეთის მიერ სრულად იქცა მიღწეული ყირიმის ანექსიის მიზანი მიუხედავად იმისა რომ საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებს რეფერენდუმის შედეგებს ეს არ ცვლის დე-ფაქტო მდგომარეობას ყირიმში. აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის მიზანი იყო მაქსიმალურად დაესუსტებინა უკრაინის სახელმწიფოებრიობა, უარეს შემთხვევაში შეეცმნა რამდენიმე ქალაქის ირგვლივ სეპარატისტული პროექსი რესპუბლიკები, ხოლო უკეთეს შემთხვევაში მოეხდინა მთლიანი აღმოსავლეთ უკრაინის დაკავება და მის ადგილზე რუსეთის მიერ კონტროლირებადი სახელმწიფოს ეგრეთწოდებული „მალოროსიის“ შექმნა. რუსეთმა მეტწილად მიაღწია მიზანს, შექმნა რა დონეცკის და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკები. დონბასის რეგიონში რუსეთი იყენებდა ბევრად უფრო აგრესიულ მეთოდებს როგორც სამხედრო ასევე მედია ასპექტით რასაც ჰქონდა, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი შედეგები, ერთის მხრივ ამ აგრესიულობამ მოახდინა უკრაინის მთავრობის პარალიზება, რომელმაც ვერ შეძლო დროული ადეკვატური პასუხის გაცემა რუსეთთან ფართომასშტაბიანი ომის შიშით, თუმცა მეორე მხრივ ასეთმა მოქმედებებმა საბოლოოდ დაუკარგა რუსეთს უკრაინელი მოსახლეობაზე ზეგავლენა, შედეგად რუსეთმა

4 ГРУ (Главное разведывательное управление) - რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამმართველო

5 Cosgrove, Jonathon . *THE RUSSIAN INVASION OF THE CRIMEAN PENINSULA A Post-Cold War Nuclear Crisis Case Study*. National Security Report, Laurel: JOHNS HOPKINS, 2020.

6 Cosgrove, Jonathon . *THE RUSSIAN INVASION OF THE CRIMEAN PENINSULA A Post-Cold War Nuclear Crisis Case Study*. National Security Report, Laurel: JOHNS HOPKINS, 2020.

7 U.S. Army Special Operations Command. *“Little Green Men”: A Primer On Modern Russian Unconventional Warfare, Ukraine 2013-2014*. Fort Bragg, North Carolina: U.S. Army Special Operations Command, 2016.

8 Synovitz, Ron . *Russian Forces In Crimea: Who Are They And Where Did They Come From?* March 04, 2014. <https://www.rferl.org/a/russian-forces-in-crimea-who-are-they-and-where-did-they-come-from/25285238.html> (accessed 12 05, 2021).

9 Lally, Kathy . *Putin's remarks raise fears of future moves against Ukraine*. *ჰრილ* 17, 2014. https://www.washingtonpost.com/world/putin-changes-course-admits-russian-troops-were-in-crimea-before-vote/2014/04/17/b3300a54-c617-11e3-bf7a-be01a9b69cf1_story.html (accessed December 05, 2021).

10 ბუდაპეშტის მემორანდუმი- ხელშეკრულება რომელიც დადეს აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, რუსეთმა და უკრაინამ რომლის მიხედვითაც აშშ, დიდი ბრიტანეთი და რუსთი ხდებოდნენ უკრაინის დერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის გარანტები, უკრაინის მიერ ბირთვული იარაღის დათმობის სანაცვლოდ

11 Pifer, Steven . *Mr. Lavrov, Russia, and the Budapest Memorandum*. January 28, 2016. <https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2016/01/28/mr-lavrov-russia-and-the-budapest-memorandum/> (accessed December 06, 2021).

მეტნაკლებად მეგობრული სახელმწიფოსგან, რომელმაც რბილი ძალის გავლენა ჰქონდა მიიღო ფუნდამენტურად ანტირუსულად განწყობილი განახლებული ნაციონალური იდენტობის მქონე სახელმწიფო. ისევე როგორც ყირიმში აღმოსავლეთ უკრაინაშიც ომამდე ხორციელდებოდა საინფორმაციო ოპერაციები, რათა მომხდარიყო მოსახლეობის შემადგენლობის შეცვლა, ამისათვის რუსეთი იყენებდა რამდენიმე მედია ნარატივს, ესენია: მტრის ხატის შექმნა - რუსული მედია საშუალებები და აქტივისტები ხშირად ისენიებდნენ უკრაინელებს როგორც „ფაშისტებს“, ხდებოდა დასავლეთის პოზიციონირება, როგორც არატრადიციული, „გარყვნილი“, ლიბერალური იდეოლოგია, რომელსაც სურს რუსული ერის გახრჩნა. ეკონომიკური დამოკიდებულება - ერთერთი პოპულარული სლოგანი იყო დასავლეთ უკრაინის ეკონომიკური დამოკიდებულება აღმოსავლეთის ქვანახშირზე. ასევე ხდებოდა ევროკავშირის პერსპექტივის კრიტიკა, რუსული მედია აქტიურად ცდილობდა დაერწმუნებინა მაყურებლები რომ ევროკავშირში გაწევრიანება უდრიდა გაღარიბებას და ეკონომიკური დამოკიდებულებას ევროპაზე ხოლო რუსეთთან კავშირი ეკონომიკურ კეთილდღეობას და დამოუკიდებლობას¹². კრიზისის საწყის ეტაპზე რუსეთი აქტიურად ეყრდნობოდა ადგილობრივ მოხალისეებს, და გასამხედროებულ ფსევდოპატრიოტულ ორგანიზაციებს, რომლებსაც მოსკოვი ფინანსურ და ლოჯისტიკურ მხარდაჭერას უწევდა. მაგალითად „რუსული მართლმადიდებლური არმია“ რომელმაც დონეცკის რეგიონში დაიწყო მოქმედება და მათივე სიტყვებით 4000-მდე წევრი ჰყავდათ. მათი მეთაურები არიან ყოფილი რუსი სამხედროები სპეციალური ქვედანაყოფებიდან, რომლებიც მოხალისეებს აქტიურად წვრთნიან სხვადასხვა დისციპლინებში, როგორებიცაა: შენობების შტურმი, სნაიპერული მომზადება, დაზვერვა და სხვა¹³. კავალების გასამხედროებული ორგანიზაციები უკრაინაში და რუსეთის სამხრეთში, ისინი ფინანსდებიან რუსეთს მთავრობისგან და შედგებიან ყოფილი სამხედროებისგან, რუსეთის ტერიტორიაზე მათ აქვთ მთავრობისგან მინიჭებული უფლება დაიცვან რუსეთის საზღვრები, ტყეები, მოაწყონ სამხედრო ახალგაზრდული ბანაკები, ებრძოლონ ტერორიზმს და დაიცვან ადგილობრივი სამთავრობო შენობები. არარეგულარული კავალების დაჯგუფებები აქტიურად მოქმედებდნენ დონეცკში და ლუგანსკში, იკავებდნენ ადმინისტრაციულ შენობებს, აშინებდნენ პროუკრაინულ მოსახლეობას და ეხმარებოდნენ პრორუსულ ქვედანაყოფებს, მათ ნაწილი იყო უკრაინიდან ხოლო ნაწილი რუსეთიდან¹⁴. მსგავს დაჯგუფებებზე დაყრდნობით რუსეთმა შეძლო წარმოეჩინა თითქოს უკრაინაში მიმდინარეობდა სამოქალაქო დაპირისპირება სადაც რუსეთს არანაირი როლი არ ჰქონდა. უშუალოდ სამხედრო ასპექტში რუსეთი ეყრდნობოდა ბატალიონის ტაქტიკურ ჯგუფებს. ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფი არის დროებითი ოპერატიულად მოქნილი ფორმირება, რომელიც შექმნილია ბატალიონის და მიმაგრებული საარტილერიო, საჰაერო თავდაცვის, საინჟინრო და ლოგისტიკური მხარდაჭერის განყოფილებების ბაზაზე საბრძოლო ოპერაციებისთვის, როგორც მოტომსროლელი და სატანკო ბრიგადების ნაწილი. საავიაციო ჯგუფები, სპეციალური ოპერაციების ძალები და სხვა დანაყოფები, ასევე შეიძლება დაერთოს ბატალიონის ტაქტიკურ ჯგუფს დაკისრებული მისიების შესასრულებლად. პრაქტიკაში რუსული ბრიგადები არ მოქმედებენ, როგორც მთლიანი ქვედანაყოფები, ისინი ქმნიან ბატალიონის ტაქტიკურ ჯგუფებს-ებს რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებელი შერეული შეიარაღების საბრძოლო ამოცანების შესრულება, 2014 წლის ზაფხულში უკრაინის საზღვართან განლაგებული იყო დაახლოებით ცამეტი ბტჯ¹⁵. რუსეთი აქტიურად ეყრდნობოდა როგორც რეგულარული არმიის ასევე გასამხედროებული, დაქირავებული და მოხალისე ქვედანაყოფებისგან შექმნილ ბტჯ-ებს¹⁶. ჩემი აზრით ბატალიონის ტაქტიკურ ჯგუფებად ორგანიზებამ რუსულ ძალებს მისცა ის გადამწყვეტი უპირატესობა უკრაინული არმიის წინააღმდეგ რომელმაც განაპირობა უკრაინული ქვედანაყოფების ალყაში მოქცევის და განადგურების შემთხვევები ილოვაისკში და დებალცევოში.

დასკვნა

რუსეთის მოქმედებებს უკრაინაში გააჩნდა რამდენიმე მიზანი, შავ ზღვაში პოზიციების განმტკიცება და ყირიმის პროდასავლურ სახელმწიფოში არსებობის არდაშვება, სადაც რუსეთის არაკონვენციურმა მიდგომამ და საინფორმაციო ომმა წარმატებას მიაღწია, რაც ყირიმის ანექსიით დასრულდა. თუმცა უკრაინის აღმოსავლეთის დაკავების და იქ ეგრეთწოდებული „მალაროსიას“ შექმნის მიზანი წარუმატებლად დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა მოახერხა ორი არალეიტენი რესპუბლიკის შექმნა ეს არ არის საკმარისი იმ რესურსების და ზიანის ასანაზღაურებლად რაც მას მიაღდა, როგორც მატერიალურად ასევე პოლიტიკურად. საინფორმაციო და სამხედრო მეთოდები, რომელსაც რუსეთი იყენებს გათვლილია მოკლევადიან პერიოდზე, მათ მიზანია მოხდეს კონფლიქტის სწრაფი ესკალაცია და გამოიყენონ მონინალმდევის ყოყმანი უპირატესობის მოსაპოვებლად და შემდეგ მოახდინონ მონაპოვარის კონსოლიდირება, როდესაც მათ დამარცხება უკვე ფართომასშტაბიანი კონფლიქტის გარეშე შეუძლებელია. ჩემი აზრით ასეთი მიდგომის წინააღმდეგ საჭიროა გამართული უსაფრთხოების სისტემის ქონა, რათა მოხდეს კრიზისებზე დროული და ეფექტური რეაგირება, მათი ნეიტრალიზება საწყის ეტაპზე. ასევე ვფიქრობ რომ ამ მიდგომის სუსტი მხარე ის არის რომ რუსეთს არ შეუძლია კონვენციური ხანგრძლივი ომის წარმოება ნატოს წინააღმდეგ, სწორედ ამიტომ ცდილობს ის

12 U.S. Army Special Operations Command. *"Little Green Men": A Primer On Modern Russian Unconventional Warfare, Ukraine 2013-2014*. Fort Bragg, North Carolina: U.S. Army Special Operations Command, 2016.

13 Kovalyova, Albina. *Meet the Russian Orthodox Army, Ukrainian Separatists' Shock Troops*. May 17, 2014. <https://www.nbcnews.com/storyline/ukraine-crisis/meet-russian-orthodox-army-ukrainian-separatists-shock-troops-n107426> (accessed December 06, 2021).

14 Shuster, Simon. *Meet the Cossack 'Wolves' Doing Russia's Dirty Work in Ukraine*. April 04, 2014. <https://time.com/95898/wolves-hundred-ukraine-russia-cossack/> (accessed December 06, 2021).

15 U.S. Army Special Operations Command. *"Little Green Men": A Primer On Modern Russian Unconventional Warfare, Ukraine 2013-2014*. Fort Bragg, North Carolina: U.S. Army Special Operations Command, 2016.

16 ბტჯ- ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფი

ბერკეტების მაქსიმალურად გაზრდას ეტაპობრივი აგრესიით, რათა თავი აარიდოს ფართომასშტაბიან საპასუხო ქმედებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

Cosgrove, Jonathon . THE RUSSIAN INVASION OF THE CRIMEAN PENINSULA A Post–Cold War Nuclear Crisis Case Study. National Security Report, Laurel: JOHNS HOPKINS, 2020.

Korsunskaya, Darya . News.Yahoo. November 20, 2014. <https://news.yahoo.com/putin-says-russia-must-guard-against-color-revolutions-135807378.html> (accessed December 03, 2021).

Kovalyova, Albina . Meet the Russian Orthodox Army, Ukrainian Separatists' Shock Troops. MAY 17, 2014. <https://www.nbcnews.com/storyline/ukraine-crisis/meet-russian-orthodox-army-ukrainian-separatists-shock-troops-n107426> (accessed December 06, 2021).

Lally, Kathy . Putin's remarks raise fears of future moves against Ukraine. პრილ 17, 2014. https://www.washingtonpost.com/world/putin-changes-course-admits-russian-troops-were-in-crimea-before-vote/2014/04/17/b3300a54-c617-11e3-bf7a-be01a9b69cf1_story.html (accessed December 05, 2021).

Pifer, Steven . Mr. Lavrov, Russia, and the Budapest Memorandum. January 28, 2016. <https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2016/01/28/mr-lavrov-russia-and-the-budapest-memorandum/> (accessed December 06, 2021).

Shuster, Simon. Meet the Cossack 'Wolves' Doing Russia's Dirty Work in Ukraine. April 04, 2014. <https://time.com/95898/wolves-hundred-ukraine-russia-cossack/> (accessed December 06, 2021).

Synovitz, Ron . Russian Forces In Crimea: Who Are They And Where Did They Come From? March 04, 2014. <https://www.rferl.org/a/russian-forces-in-crimea--who-are-they-and-where-did-they-come-from/25285238.html> (accessed 12 05, 2021).

U.S. Army Special Operations Command. "little Green Men": A Primer On Modern Russian Unconventional Warfare, Ukraine 2013-2014. Fort Bragg, North Carolina: U.S. Army Special Operations Command, 2016.

თანამედროვე კომუნიკაცია: ვებინარები

სალომე დავითულიანი

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
ინფორმატიკის მიმართულება

გიორგი რჩეულიშვილი

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
ინფორმატიკის მიმართულება

ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი გიორგი კოხრიძე

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი შეეხება დისტანციურ კომუნიკაციას, კონკრეტულად კი - ვებინარულ პროგრამებს, მათ სისუსტეებსა და დიზაინს. წარმოდგენილ თემაში განხილულია ვებინარული პროგრამების სახეები, მათი გამოყენება, ინფორმაციის დაშიფვრის გზები და სხვადასხვა მნიშვნელოვან ხარვეზები, რომლებიც დიდად მოქმედებს ამ პროგრამების რეპუტაციებზე. აკადემიურ ნაშრომში ასევე ნაჩვენებია სტატისტიკური მონაცემები, რომლებზე დაყრდნობითაც გაკეთებულია ანალიზი ვებინარულ პროგრამათა მიმართ. თავისმხრივ, ყურადღება ეთმობა ვებინარულ ტექნოლოგიებთან მიმართებაში, კოვიდ-19-ის ეფექტს და მსოფლიო კომპანიების მომავალ გეგმებს. ხსენებულ დოკუმენტში ცხრილის სახით მოცემულია პროგრამათა შედარებები, სადაც მკვეთრად იკვეთება თითოეულის მახასიათებელი და მათი პროგრამული შემადგენები. ამასთანავე, ნაშრომი განსაზღვრავს ვებინარულ პროგრამათა ვიზუალური მხარის დატვირთვას, რომელიც მნიშვნელოვანწილად არის პასუხისმგებელი მომხმარებლის მიერ პროგრამის ათვისებაზე, გამოყენებასა და მის სამუშაო გარემოსთან შეთავსებაზე.

საკვანძო სიტყვები: ვებინარი, ვებინარული პროგრამები, ონლაინ შეხვედრები, თანამედროვე კომუნიკაცია, პლატფორმების ათვისება.

Modern Communication: Webinars

Salome Davituliani

LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Baccalaureate
Information Technologies of management

Giorgi Rcheulishvili

LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Baccalaureate
Information Technologies of management

Supervisor: Assistant-Professor Giorgi Kokhreidze

Abstract

The presented paper deals with remote communication, specifically webinar software, their weaknesses and design. The following study discusses the types of webinar programs, their use, ways of encrypting information and various important shortcomings that greatly affect the reputation of these programs. The academic paper also presents statistical data based on which the analysis of webinar programs is done. In turn, the focus is on webinar technologies, the Covid-19 effect, and the future plans of large companies around the world. In the following document, the comparison of programs is given in the form of a table, where the characteristics of each of them and their software limitations are clearly outlined. In addition, the paper defines the visual side of the webinar program, that is largely responsible for the user mastering, using, and implementing the program in the work environment.

Keywords: webinar, webinar programs, online meetings, modern communication, software implementation.

როგორც ცნობილია, 2020 წლის დასაწყისში Covid-19-ის პანდემიას ჩაკეტვები და იზოლაციები დაერთო. ამგვარ სიტუაციაში კი ინფორმაციის ცოცხლად გაზიარებისა და ადამიანთა შორის კომუნიკაციის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად ონლაინ შეხვედრები, ვიდეო კონფერენციები იქცა. ამგვარ კომუნიკაციას კი სპეციალურად ვიდეო კონფერენციებისთვის შექმნილი პროგრამები, ვებინარები უზრუნველყოფენ.

პირდაპირ „Merriam-Webster“-ის ლექსიკონიდან, ვებინარი განმარტებულია, როგორც 'ცოცხლად, ონლაინ რეჟიმში ჩატარებული საგანმანათლებლო პრეზენტაცია, სადაც დამსწრეებს შეუძლიათ დასვან შეკითხვები და მიიღონ პასუხები...'. თავად სიტყვა კი შედგება ვებისა და სემინარისგან, რომლებიც ბუნებრივად მიანიშნებენ მთლიანად სიტყვის არსსა და გამოყენებაზე.

ვებინარის ზოგად ეფექტურობაზე მისი მოქნილობა და ორმხრივი კომუნიკაციის შესაძლებლობა მეტყველებს. მოქნილობით კი სწორედ ის იგულისხმება, რომ შეხვედრის ჩატარება სემინარზე ფიზიკური დასწრების გარეშე შეიძლება.

რა გავლენა მოახდინა Covid-19-მა ამ ტექნოლოგიის განვითარებაზე?

პანდემიის გამო მსოფლიო კომპანიების ~30%-მა პირველად გამოიყენა ვებინარის პროგრამა

- პანდემიის განმავლობაში, Google Play და IOS მაღაზიებში ყველაზე გადმოწერილი პროგრამები ბიზნეს პროგრამები გახდა. მათ შორის Zoom და Teams-ი.
- მაღალი მოთხოვნადობის გამო, ამჟამად Microsoft Teams-ი უკვე 4.1 მილიონამდე წუთს ჰოსტავს თავის პლატფორმაზე.
- 2020 წლის მარტიდან მოყოლებული, Facebook-ის WhatsApp-ის მოხმარება თანდათანობით იზრდება
- Cisco WebEx-ი ამჟამად კვირის განმავლობაში 23 მილიონამდე შეხვედრას ჰოსტავს, რეკორდული 322 მილიონი დამსწრით.
- პანდემიიდან გამომდინარე, Microsoft Teams-ის აქტიურ მომხმარებელთა რაოდენობამ 17 მილიონს გადააჭარბა
- Zoom პლატფორმის დღიური გადმოწერების რაოდენობა 2020-2021 წლების შუალედში 30-ჯერ გაიზარდა
- 2021 წლის მარტში Zoom-ის დღიურ მომხმარებელთა რაოდენობამ 10 მილიონიდან 200 მილიონს მიაღწია

ვებინარების შესაძლებლობებში შედის შეხვედრის ჩანერა, ტექსტური სასაუბრო სისტემა, ცოცხალი სუბტიტრები, ელექტრონული სახატავი დაფა, ფაილების გაცვლა-გამოცვლის ფუნქცია, მონიტორის გაზიარება და მრავალი მსგავსი ფუნქცია. ონლაინ ვებინარების პროგრამების ფუნქციები მხოლოდ ტექნიკური პარამეტრებით არ შემოიფარგლება. ის, თუ როგორ არის პროგრამა ვიზუალურად ორგანიზებული, განსაზღვრავს, თუ რამდენად სწრაფად მოახერხებენ მომხმარებლები ერთმანეთს შორის ინფორმაციის გაცვლას.

პოპულარული ვებინარ-პროგრამებს შორისაა: Zoom, Google hangouts, Microsoft Teams, Skype, Slack, BigBlueButton, Cisco WebEx

თითოეულს საკუთარი გამორჩეული დიზაინი და მახასიათებლები გააჩნია, თუმცა ძირითადად მათი მიზანი ერთი თემის გარშემო ტრიალებს - ეფექტური კომუნიკაცია.

ამის მიღწევას კი ვებინარის პროგრამები რამდენიმე პრინციპის გათვალისწინებით აღწევენ.

1. უცვლელობა - პროგრამა განახლებებისას უნდა ინარჩუნებდეს ერთ, ფიქსირებულ დიზაინს და არ უნდა უხვევდეს არჩეულ კომპონენტთა განლაგებას და ფერთა არჩევანს
2. დიზაინის სიმარტივე - ადამიანის მიერ ინფორმაციის დამუშავების შეზღუდვებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ გამოტანილ ფანჯრებზე და სამართავ პანელზე რაც შეიძლება გასაგებად და აშკარად იყოს გამოტანილი ინფორმაცია, ხშირად იყოს გამოყენებული მნემონიკები
3. სისტემური დახმარება - პროგრამას უნდა გააჩნდეს სისტემური დახმარება, რომელიც მომხმარებელს დაეხმარება მის გამოყენებაში
4. ხელსაწყოების მინოდება - პროგრამა, განსაკუთრებით ვებინარის პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს რეალური სამყაროს სიმულირებას ვირტუალურ გარემოში, მომხმარებლისთვის საჭირო ხელსაწყოების მინოდებით

ნაწილობრივ, სწორედ ეს პრინციპები განსაზღვრავს პროგრამის გამოყენებადობას, ეფექტურობას და შემდგომ პოპულარობას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე მსოფლიოში ბევრი პროგრამაა, რომელიც შეგვიძლია ზუსტად შევუსაბამოთ ჩვენს საქმიანობას და საჭიროებებს. თუმცა, ხშირად ამ აპლიკაციებს შორის მსგავსება იმდენად დიდია, რომ არჩევანის გაკეთება გვიჭირს. ასეთ შემთხვევაში მომგებიანი იქნება თუ თითოეული მათგანის სისუსტეების გათვალისწინებით მივიღებთ გადაწყვეტილებას. ბოლოდროინდელმა პრაქტიკამ, რომელიც მეტწილად კოვიდ პანდემიის გამო მივიღეთ, გვაჩვენა, რომ ზოგიერთი აპლიკაცია სულაც არ იყო იმდენად დაცული და უსაფრთხო, როგორც ამას მათი შემქმნელები გვიცხადებდნენ. მიმოვიხილავთ მსოფლიო მასშტაბით ყველაზე გამოყენებად და ცნობილ პლატფორმებს: Zoom, Google hangouts, Microsoft Teams, Skype, Slack, BigBlueButton და Cisco WebEx-ს მათი ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთილი დადებითი მახასიათებლებითა და მონაცვლეობით.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ხსენებულ პროგრამებს გააჩნიათ მრავალი გამოსადეგი ფუნქცია, განვიხილავთ მხოლოდ 3 ყველაზე ცნობილ პროგრამათა სისუსტეებს, ვინაიდან სწორედ სისუსტეების ცოდნა იქნება გამოსადეგი მომხმარებლისთვის სწორი პროგრამის ასარჩევად.

ზუმი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროგრამაა, რომელსაც დღიურად მილიონობით ადამიანი იყენებს. მიუხედავად მისი მრავალფუნქციურობის და სიმარტივისა, Zoom-ს მრავალი ნაკლიც გააჩნია, რომელთაც ახლა განვიხილავთ:

- 5.3.0 ვერსიამდე, Window-ის ზუმის კლიენტი არ ამოწმებდა იმ სერთიფიკატს, რომელიც გამოიყენება .msi ფაილების 'ხელმოსაწერად', რომელიც, თავის მხრივ, აკეთებს პროგრამის განახლებას. შესაბამისად, ზუმის ადმინისტრატორის რეჟიმში გაშვებას შეიძლება მოყვეს არასასურველი კოდის გაშვება.
- Zoom-ის ანდროიდ აპლიკაცია არ ამოწმებს SSL სერვერიდან მიღებულ X.509 სერთიფიკატს¹, რომელიც საშუალებას მისცემს მესამე პირს, თვალი ადევნოს სერვერს და ყალბი სერთიფიკატით მოიპოვოს გასაიდუმლოებული, ან მნიშვნელოვანი ინფორმაცია
- Zoom-ის კლიენტი 4.6.9 ვერსიიდან მოყოლებული ვიდეო-აუდიო შეხვედრებისთვის იყენებს AES დაშიფვრის ECB რეჟიმს, რომელიც AES-ის რეჟიმებს შორის (ECB, CBC, CFB, OFB, CTR) ყველაზე სუსტია. ECB რეჟიმი იყენებს ერთ ცვლადს სხვადასხვა მონაცემის დასაშიფრად, შესაბამისად მარტივია შიფრების შედარება და კანონზომიერებით ამ 'ცვლადის' აღმოჩენა
- 5.5.4 ვერსიიდან მოყოლებული, Zoom-ის მონიტორის გაზიარების ფუნქცია დამსწრეებს მომენტალურად საშუალებას აძლევს დაინახონ ჰოსტის ეკრანის ის ფანჯრები ან ნაწილები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან და პირადულ ინფორმაციას და არ იყო გასაზიარებლად გამიზნული. ამგვარი მომენტალური ხარვეზით შეიძლება ისარგებლოს ჰაკერმა, ინერდეს მონიტორს და შემდგომ ანალიზის გზით, ჩანაწერიდან ამოიღოს სასურველი ინფორმაცია

მიუხედავად იმისა, რომ Zoom-ს ჰქონდა ეს და სხვა მრავალი პრობლემა, რომლებიც მნიშვნელოვნად მოქმედებენ პროგრამის რეპუტაციაზე. მოულოდნელი არ იქნება ვთქვათ, რომ ვიდეოკონფერენციის ნებისმიერ სისტემას, რომელიც ამდენი მომხმარებლის მოთხოვნას უმკლავდება ჰქონოდა ხარვეზები, რომლებიც გამოვლინდა და აღმოიფხვრება. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არსებობს ამ პლატფორმის გამოყენების ფართო სპექტრი, პირადი საუბრებიდან დაწყებული ბიზნეს შეხვედრებით, ორ კომპანიასა ან სახელმწიფოთა შორის დამთავრებული

Skype, ისევე როგორც Zoom-ი, პოპულარული პროგრამაა, რომელსაც დღიურად მილიონობით მომხმარებელი იყენებს. მიუხედავად მისი ცნობადობისა, ამ პროგრამასაც გააჩნია თავისი სისუსტეები.

- 2020 წლის აგვისტოდან მოყოლებული Skype-ის ანდროიდ კლიენტზე ავტორიზაციის გავლის შეფერხების და მისი დაუსრულებლობის შემთხვევაში, პროგრამა გადადის ადმინისტრატორის რეჟიმში. ეს ნაკლი მოქმედებს 8.35 ვერსიიდან მოყოლებული
- Skype ბიზნეს სერვერ 2015-ში, XSS (Cross Site Scripting)-ით, ჰაკერს ხელნაკეთი ლინკის ან ვებ-სკრიპტის მეშვეობით, შეუძლია გაუშვას სასურველი კოდი მსხვერპლის კომპიუტერზე. მით უმეტეს, თუ მომხმარებელს Skype პრივილეგირებულ რეჟიმში აქვს გაშვებული
- 8.59.0.77 MacOS ვერსიიდან მოყოლებული, Skype-ს აქვს უფლება, რომ გარკვეულ შემთხვევებში არ შეამოწმოს ციფრული მოთხოვნის ნამდვილობა და წარმომავლობა, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებლის დონის მქონე პროცესებს მიიღონ უნებართვო წვდომა მიკროფონსა და კამერაზე, პროგრამაზე შეუმოწმებელი მოთხოვნის გაშვებით

WebEx ძირითადად გამოიყენება ბიზნეს შეხვედრებისას, და ზემოთ ნახსენები პლატფორმების მსგავსად, დღიურად მასაც მილიონობით ადამიანი იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ Cisco WebEx ითვლება უმაღლესი სტანდარტის ვებინარულ პროგრამად, მასაც გააჩნია მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომელთაც სწორედ ახლა განვიხილავთ.

- Cisco WebEx-ის ვებ ვერსიაში, მომხმარებლის მიმართ შესაძლებელია ვებ სკრიპტის (XSS) გაშვება. ეს ხარვეზი გამოწვეულია იქიდან, რომ WebEx-ი საკმარისად არ ამოწმებს შემავალ ინფორმაციას და ლინკებს, რომლებიც HTTP GET და HTTP POST მოთხოვნების გავლით გადის პროგრამაში. ჰაკერს, რომელიც მოახერხებს მომხმარებლის დარწმუნებას, რომ WebEx-ის ბრაუზერ კლიენტიდან გადავიდეს მიცემულ ლინკზე, საშუალება ექნება მომხმარებლის ბრაუზერში გაუშვას სასურველი სკრიპტი ან HTML კოდი. ხარვეზის ID: CSCvi71274
- Cisco WebEx ჩანაწერის პლეიერი, ჰაკერს მსხვერპლის კომპიუტერზე შეუძლია დამაზიანებელი კოდის გაშვება, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ WebEx ჩანაწერები ინახება .ARF და .WRF ფორმატებში. ჰაკერს შეუძლია ამ სისუსტით სარგებლობა და მომხმარებლისთვის ამ .ARF ან .WRF ფაილის გაგზავნა იმეილით ან ლინკის მეშვეობით. მომხმარებლის მხრიდან კი ამ ფაილის გახსნით, ჰაკერი მსხვერპლის კომპიუტერზე მოიპოვებს წვდომას
- WebEx ვებ-ინტერფეისიდან შესაძლებელია მომხმარებლის გადამისამისამართება, ყალბ WebEx გვერდზე ისე, რომ არ მოხდეს მომხმარებლის გაფრთხილება საიტის დატოვების შესახებ. ლინკზე გადასვლის შემდეგ უკვე მარტივი იქნება მომხმარებლის პირადი ინფორმაციის ამოღება... ეს სისუსტე იმის დამსახურებაა, რომ საკმარისად არ ამოწმებს WebEx ძრავა URL პარამეტრებსა და HTTP მოთხოვნებს.

1 ციფრული დოკუმენტი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ვებსაიტებისა და ინდივიდების ან ორგანიზაციების კრიპტოგრაფიულ გასაღებებს (მათი შეუთავსებლობა გამოიწვევს კავშირის ჩაშლას)

	უფასო ვერსია	დამსწრეთა რ- ბა (max)	ეკრანის გაზიარება	ელ.დაფა	ჩანაწერის გაკეთება	E2E დაშიფვრა	თანხა (იწყება)	მობილური ვერსია
Zoom		1000					14.99\$	
Teams	ლიმიტირებული	1000					5.99\$	
Hangouts		250					7.99\$	
Skype Business		250					შეწყვეტილი (ჩაანაცვლა Teams-მა)	
WebEx		3000					13.50\$	
BigBlueButton		100					უფასო	
Slack	ლიმიტირებული	15					6.67\$	

ცხრილი 1. ვებინარულ პროგრამათა შედარება

ვიდეო ბარის პლატფორმები სულ უფრო მეტად პოპულარული და შეუცვლელი ხდება პანდემიის შემდეგ, რაც განაპირობებს ორგანიზაციების და ზოგადად - ადამიანების უფრო ეფექტურ კომუნიკაციას.

პირველ რიგში, ვნახოთ რა ეტაპზეა ახლა და რა მომავალი ელის ვიდეო კონფერენციების ტექნოლოგიებს:

- 2025 წლისთვის 36 მილიონამდე ამერიკელი სახლიდან იმუშავებს, რომელიც განპირობებულია იმით, რომ ბევრ დასაქმებულს დისტანციურად მუშაობა ურჩევნია და ეს მაჩვენებელი პანდემიამდელ მაჩვენებელთან შედარებით 87% არის გაზრდილი
- დასაქმებულთა 79% ფიქრობს, რომ ვიდეო კონფერენციებით ჩატარებული შეხვედრები ტოლფასად ან უფრო მეტადაც პროდუქტიულია ფიზიკურ შეხვედრებთან შედარებით
- 2021 წლის მიწურულს Zoom პლატფორმას ვიდეო კონფერენციების სივრცეში მარკეტის 50% უჭირავს
- 2021 წლისთვის ამ სივრცის მარკეტი \$7.9 მილიარდ დოლარადაა შეფასებული
- ხოლო 2026 წლისთვის მოსალოდნელია, რომ ვიდეო კონფერენციების მარკეტის ღირებულება \$50 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს
- მსოფლიო კომპანიათა 67% პროცენტი ვიდეო და ვებ კონფერენციებზე სახარჯი ბიუჯეტის გაზრდას გეგმავს.

პრეზენტაციაში ხსენებული ვებინარული პროგრამების მახასიათებლებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ითქვას, რომ, არ არსებობს იდეალური ხელსაწყო, რომელიც ყველა სახის პრობლემას გადაჭრის. ამგვარადვე არ არსებობს იდეალური პროგრამა, ამ შემთხვევაში ვებინარის პროგრამა, რომელიც მოერგება ყველა სახის მომხმარებელს და დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. გადანყვევტილების მისაღებად თითოეულ ინდივიდს და ორგანიზაციას გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს ის გარემო, ხალხი თუ სისტემური უზრუნველყოფა, რომელზე მორგებაც მოუწევს ახალი ვებინარული პლატფორმისა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Francesco Costa, Franco Salvadei, “ვებინარები Covid-19ის პერიოდში”, <https://doi.org/10.1016/j.wneu.2021.07.087>, 7 დეკემბერი, 2021
2. R.S. Oeppen, G. Shaw, P.A. Brennan, “ადამიანური ფაქტორები ვირტუალური შეხვედრებისას”, <https://doi.org/10.1016/j.bjoms.2020.04.046>, 8 დეკემბერი, 2021
3. პროგრამათა უსაფრთხოების მონაცემთა ბაზა, <https://www.cvedetails.com/>, 9 დეკემბერი, 2021
4. პროგრამათა უსაფრთხოების მონაცემთა ბაზა, NVD - Home ([nist.gov](https://nvd.nist.gov)), 9 დეკემბერი, 2021
5. Bhanu Priya, “მომხმარებლის ინტერფეისის დიზაინი - პრინციპები”, <https://www.tutorialspoint.com/what-are-the-principles-of-user-interface-design>, 9 დეკემბერი, 2021

ინფლაციის რეგულირება მონეტარული პოლიტიკით: თეორიული საკითხები

ვასო ბერაღიძე

**სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
მენეჯმენტის მიმართულება**

თეონა ლაბაძე

**სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
მენეჯმენტის მიმართულება**

ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთევან ჭიაბრიშვილი

აბსტრაქტი

ეკონომიკის ციკლურ პერიოდებში ადგილი აქვს საქონლისა და ფულის ნაკადების ერთდროულ მიმოქცევას. ფულის არასწორი მოძრაობა ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებასა და მომხმარებელზე უარყოფით გავლენას ახდენს. ინფლაციის პირობებში ფულის მსყიდველობითი უნარი მცირდება, რის გამოც ზარალდება გაცვლითი პროცესების ეფექტიანობა ბაზრებზე და წარმოიქმნება დისბალანსი მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. ინფლაცია ეკონომიკაში ფასთა საერთო დონისა ზრდაა მიმოქცევაში არსებული ფულის მსყიდველობით უნართან შედარებით. საქონელბრუნვის მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, მიმოქცევის არხების ფულადი მასით გადატვირთვა ეროვნული ვალუტის გაუფასურებას იწვევს და საქონელსა და მომსახურებაზე ფასების დონე იზრდება. ამ დროს საჭირო ხდება მთავრობის მიერ შესაბამისი ანტიინფლაციური პოლიტიკის შემუშავება და გარკვეული მიზნობრივი ღონისძიებების გატარება. ნაშრომში განხილულია ინფლაციის არსი, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები; აღწერილია ის მარეგულირებელი ბერკეტები, რომელიც გამოცდილი და ეფექტურია აღნიშნული პროცესების წინააღმდეგ ბრძოლაში და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას. ნაშრომში გაანალიზებულია ინფლაციის კონტროლის გავლენა სიმდიდრის წარმოებასა და განაწილებაზე, ასევე დახასიათებულია მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საკვანძო სიტყვები: მოთხოვნა, მიწოდება, მონეტარული პოლიტიკა ექსპორტი, იმპორტი, სამომხმარებლო კალათა.

Regulating inflation through monetary policy: Theoretical issues

Vaso Berelidze

LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Baccalaureate
Direction of Infotmation Technologies

Teona Labadze

LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Baccalaureate
Direction of Infotmation Technologies

Supervisor: Professor Ketevan Chiabrishvili

Abstract

In cyclical periods of the economy there is a simultaneous circulation of goods and cash flows. Improper money laundering has a negative impact on the development of the real sector of the economy and the consumer. In the conditions of inflation, the purchasing power of money decreases, which affects the efficiency of exchange processes in the markets and creates an imbalance between supply and demand. Inflation is the increase in the overall price level in an economy relative to the purchasing power of money in circulation. Due to the high demand for goods, the monetary overload of the circulation channels leads to the depreciation of the national currency and increases the price level of goods and services. At this time, it is necessary for the government to develop an appropriate anti-inflation policy and take some targeted measures. The paper discusses the essence of inflation, its causes and consequences; Describes the regulatory levers that are experienced and effective in combating these processes and pay particular attention to fiscal and monetary policy. The paper analyzes the impact of inflation control on wealth production and distribution, as well as describes its pros and cons

Keywords: demand, supply, export, import, consumer Cart.

შესავალი

ტერმინი „ინფლაცია“ პირველად ჩრდილოეთ ამერიკაში, სამოქალაქო ომის პერიოდში, 1861-1865 წლებში გამოიყენეს, რომელიც ფულის მიმოქცევის პროცესის გაბერვას ნიშნავდა. თავდაპირველად, ინფლაცია მხოლოდ საგანგებო სიტუაციებში იჩენდა თავს, - კერძოდ, ომის დროს, როდესაც სახელმწიფოები საომარი ხარჯების დასაფარად დიდი რაოდენობით ფულს უშვებდნენ. თუმცა თანამედროვე ეკონომიკურ სამყაროში და ბოლო 20-30 წლის განმავლობაში ინფლაცია მრავალი ქვეყნის თანმდევი პროცესი და პრობლემა გახდა. დღესდღეობით მისი გამომწვევი სხვადასხვა მიზეზი არსებობს. მათ შორის, დისბალანსი სახელმწიფო შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, ინფლაციური - სახიფათო ინვესტიციები, სრულყოფილი კონკურენციის არ არსებობა, ან ინფლაციის მოლოდინი.

ინფლაცია ფასების საერთო დონის ზრდაა. ეკონომისტები თვლიან, რომ ის იწყება მაშინ, როცა ფულის მიწოდება, მის მოთხოვნაზე მეტია. ინფლაცია, როგორც ეკონომიკური მოვლენა შეგვიძლია როგორც დადებით, ასევე უარყოფით კონტექსტში განვიხილოთ. პოზიტიურ ასპექტში განიხილება მაშინ, თუ ის ხელს უწყობს მომხმარებელთა მოთხოვნისა და მოხმარების გაზრდას, რაც საბოლოო ჯამში მიზნად ისახავს ეკონომიკურ ზრდას. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ინფლაცია გამიზნულია დეფლაციის კონტროლისკენ, ზოგიერთს კი მიაჩნია, რომ ის ეკონომიკურ პროცესებს ამუხრუჭებს. ჯონ ქეინსის აზრით: „როცა ეკონომიკა სრული სიმძლავრით არ მუშაობს, გარკვეული დონის ინფლაცია ხელს უშლის მეურნეობის პარადოქსის - დაგვიანებული მოხმარების თავიდან აცილებას“, რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეულ პერიოდში გამოუყენებელი სამუშაო ძალის, ან რესურსის არსებობისას, ინფლაცია თეორიულად ხელს უწყობს წარმოების ზრდას. მეტი დოლარი ნიშნავს მეტ ხარჯვას, რაც აგრეგირებულ მოთხოვნას უტოლდება. მეტი მოთხოვნა თავის მხრივ, იწვევს მეტ წარმოებას ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ზემოთ ხსენებული ბრიტანელი ეკონომისტი ჯონ ქეინსი თვლიდა, რომ გარკვეული დონის ინფლაცია აუცილებელია ეკონომიკის პარადოქსის თავიდან ასაცილებლად, რომლის მიხედვითაც სამომხმარებლო ფასების თანმიმდევრულად დაცემა, დაშვებულია ქვეყნის პროდუქტიულობის მიზნით. მომხმარებლები უკეთესი გარიგების მოლოდინში საქონლისა და მომსახურების შეძენას სწავლობენ. საბოლოოდ კი ამ პარადოქსის წმინდა ეფექტი მთლიანი მოთხოვნის შემცირებაა, რაც ნაკლებ წარმოებასა და ეკონომიკის ვარდნას იწვევს.

ინფლაციის დადებითი მხარედ წარმოდგება ის, რომ მან შესაძლოა უმუშევრობა შეამციროს. ეს ჰიპოთეზა უმუშევრობასა და ინფლაციას შორის შებენიერ კორელაციას ხსნის. (ფილიპის მრუდი) თუმცა, როგორც კი უმუშევრობა მცირდება, აღნიშნული თეორია ძალას კარგავს. ამ შემთხვევაში დამსაქმებლები იძულებულნი არიან კომპეტენტური მუშაკებისთვის მეტი გადაიხადონ. ხელფასის მატებასთან ერთად იზრდება მომხმარებელთა ხარჯები, რაც იწვევს ეკონომიკის გახურებასა და ინფლაციის სტიმულირებას. ეს მოდელი ხარჯთაღრიცხვის ინფლაციის სახელწოდებითაა ცნობილი.

ინფლაციის უარყოფითი მხარეები საკმაოდ ბევრია. ინფლაცია გრძელვადიან პერსპექტივაში იწვევს უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. როდესაც მთავრობა ზრდის ფულის მასას, ფულის ხელმისაწვდომობა ამცირებს საპროცენტო განაკვეთებს. თუმცა, მაღალი წონასწორობის ფასები და ფულის დაბალი ღირებულება ბანკებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს უბიძგებს გაზარდონ განაკვეთები თავიანთი სახსრების მსყიდველობითი უნარის დაკარგვის კონვენსაციის მიზნით. გრძელვადიანი განაკვეთები ხელს უშლის ბიზნეს სესხებს, რაც იწვევს ნაკლები კაპიტალის ინვესტიციას საქონელსა და ტექნოლოგიაში.

ინფლაცია ხელს უწყობს მოხმარებას დაზოგვის სანაცვლოდ. უფრო მაღალი ფასები მომხმარებლებს უბიძგებს მეტი პროდუქტის შეძენისკენ, სანამ ეს პროდუქტი უფრო მეტად გაძვირდება. ის ხელს უშლის დანაზოგის გაკეთებას, რადგან ხალხს ინფლაციის მოლოდინი აქვს. თუმცა რეალობა არის ის, რომ დანაზოგი არის საჭირო ფინანსური სახსრების გასაზრდელად. აღსანიშნავია ასევე ის, რომ მაღალი ფასები იწვევს გადასახადების ზრდას. ნომინალური შემოსავალი იზრდება ინფლაციასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ მსყიდველთუენარინობა არ იზრდება, ადამიანები თავისი შემოსავლის უფრო დიდ ნაწილს უხდის მთავრობას. ასევე იზრდება ქონების გადასახადი სახლებზე, მიწაზე და სხვა უძრავ ქონებაზე.

ზემოთ აღნიშნულთან დამატებით, კიდევ ერთი ინფლაციის უარყოფითი ფაქტორია- არასათანადო ინვესტიციები, როდესაც ფასები იზრდება, გარკვეული ინვესტიციების ღირებულება უფრო სწრაფად იზრდება. მაგალითად: სახლების, მიწის, ოქროს, ვერცხლის, სხვა ძვირფასი ლითონებისა და ანტიკვარების ფასები იზრდება ინფლაციის უფრო მაღალი მაჩვენებლით. ასე, რომ ახალ ბიზნეს სანარმოებში ინვესტირება სარისკოა, მერყევი ინფლაციის გამო. ამასთან, არ უნდა გამოგვრჩეს ერთ-ერთი უარყოფითი მხარე - ექსპორტის შემცირება. საქონლის უფრო მაღალი ფასები ნიშნავს, რომ სხვა ქვეყნებში ჩვენი საქონლის შეძენა ნაკლებად მიმზიდველი იქნება. ეს განაპირობებს ექსპორტისა და წარმოების შემცირებას და უმუშევრობას ჩვენს ქვეყანაში.

ზემოთ განხილული დადებითი და უარყოფითი მხარეების შემდეგ ისმის კითხვა რა არის ინფლაციის რეგულირების საშუალება? სწორედ ამ კითხვას პასუხობს ჩვენი კვლევის სათაური- „ინფლაციის რეგულირება მონეტარული პოლიტიკით.“ მთავრობებს შეუძლია გამოიყენოს მონეტარული პოლიტიკა. ამ პოლიტიკის მიზანია ფულის მიწოდების შემცირება ობლიგაციების ფასების შემცირებით და საპროცენტო განაკვეთების ზრდით. ეს ხელს უწყობს ხარჯების შემცირებას, ამ დროს, მათ ვისაც ფული აქვთ, სურთ მისი შენარჩუნება და დაზოგვა. აქედან გამომდინარე, ნაკლებია ხელმისაწვდომი კრედიტი, რამაც შესაძლოა შეამციროს ხარჯები.

მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა

მონეტარული პოლიტიკა

მონეტარული პოლიტიკა, როგორც წესი ქვეყანაში ხორციელდება ცენტრალური ბანკის დახმარებით. ზოგიერთ ქვეყანაში ეროვნული ბანკი მთავრობის ნაწილია, ზოგიერთში ნახევრადაა დამოკიდებული მთავრობაზე, მაგალითად ამერიკაში, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში სრულად თავისუფალი, როგორც საქართველოში. ეს იმას ნიშნავს, რომ ცენტრალურ ბანკს დამოუკიდებლად შეუძლია მონეტარული პოლიტიკის გატარება. ამგვარი პოლიტიკა ემსახურება ქვეყანაში ფულის მასის და სესხის განაკვეთის დარეგულირებას.

დღესდღეობით მასშტაბილიზებული მონეტარული პოლიტიკა 5 თანმიმდევრული საკითხისგან შედგება.

I. ფულის მიწოდების პოლიტიკა.

ამ დროს ცენტრალური ბანკი ამცირებს ფულის ბეჭდას და ქვეყანაში მცირდება ფულის საერთო რაოდენობა.

II. შედეგად მცირდება ერთობლივი შემოსავლები

რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე მშპ იკლებს.

III. ამის გამო ერთობლივი მოთხოვნა მცირდება.

ერთობლივი მოთხოვნის შეკვეცა ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში საქონელსა და მომსახურებებზე მოთხოვნა მცირდება. ჩვენ ვიცით- თუ მოთხოვნა მცირდება ეს იწვევს

IV. წარმოების შემცირებას.

მწარმოებლები თუ გადანყვეტენ თავიანთი წარმოების შესუსტებას მათ მოუწევთ თანამშრომლების გათვისუფლება.

V. ეცემა დასაქმების დონე და შესაბამისად ინფლაციის დონე.

ხშირ შემთხვევაში ეკონომიკის მეათე პრინციპის თანახმად: „საზოგადოება დგას ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივის წინაშე.“ ქვეყანაში ბევრი დასაქმებული პირი ნიშნავს ბევრ გაცემულ ხელფასს, რაც ერთი შეხედვით კარგია, თუმცა ბევრი გაცემული ხელფასი გულისხმობს ბევრ დაბეჭდილ ფულს, ფულის მასის გაზდა კი იწვევს ბალანსის დარღვევას მთლიან შიდა პროდუქტთან, რაც საბოლოოდ გვაძლევს ინფლაციას. ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპობრივი გზის გავლით კი ეროვნულ ბანკს შეუძლია შეამციროს ის.

ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფუნქციაა- სესხის განაკვეთის კონტროლიც, მასზეა დამოკიდებული თუ რამდენად გაძვირდება ფული, ანუ რამდენად მაღალ თუ დაბალ პროცენტში შეგვეძლება სესხის აღება. კომერციული ბანკები თავის მხრივ სესხს იღებენ ეროვნული ბანკისგან. თუ ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებს სესხს მიცემს მაღალ პროცენტში, ამის პროპორციულად კომერციული ბანკებიც მაღალ პროცენტში გასცემენ სესხებს საოჯახო მეურნეობებზე. ხოლო თუ ცენტრალური ბანკი სესხებს დაბალ პროცენტში გასცემს, ჩვენც შესაბამისად დაბალ პროცენტში მივიღებთ მას. ეს ყოველივე კი მოქმედებს ინფლაციაზე.

ფისკალური პოლიტიკა

ფისკალური პოლიტიკა ეხება დანახარჯებს, გადასახადებს და სესხებს. ეს პოლიტიკა რეალურად გულისხმობს მთავრობის მიერ საქონლისა და მომსახურების პირდაპირ მოთხოვნას. ქვეყნის ბიუჯეტი ძირითადად ივსება გადასახადების და ვალების საშუალებით. ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს ბიუჯეტი, მაგრამ არასწორი ფისკალური პოლიტიკის პირობებში ამ ბიუჯეტის შევსებამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური რყევები. მეორე მხრივ, კი სწორ ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია ეკონომიკას ბიძგი მისცეს, გამოიყვანოს რთული სიტუაციებიდან და წახალისოს ის. მთავრობა თუ გადანყვეტს გადასახადების გაზრდას, ეს გამოიწვევს მთლიანი წარმოების და მოთხოვნის შემცირებას, რაც დააზიანებს ეკონომიკას. თუმცა ეკონომიკის სწრაფი ზრდისათვის, ხშირ შემთხვევაში საჭიროა ბიუჯეტმა დახარჯოს მეტი. ზოგიერთ შემთხვევაში მთავრობას უწევს ვალის აღება. საქართველოს მაგალითზე, როგორც წესი მთავრობა უშვებს ობლიგაციებს ანუ ჩვენგან სესხულობს ფულს და შემდგომ იწყებს ამ ფულის ჩადებას ეკონომიკაში, ანუ მეტს ხარჯავს, რაც ზრდის საერთო წარმოებას. რა თქმა უნდა ეს ყოველივე მოქმედებს ინფლაციაზეც.

ინფლაციის ეფექტები წარმოებასა და სიმდიდრის განაწილებაზე

ინფლაციას საწარმოო საქმიანობაზე შემდეგი ეფექტები აქვს:

- ინფლაციამ შესაძლოა გამოიწვიოს წარმოების ზრდა ან პირიქით.
- სანამ ეკონომიკა არ მიაღწევს სრული დასაქმების სტადიას, ინფლაცია დადებითად აისახება წარმოებაზე.

- როგორც წესი, ფასების დონის მატებასთან ერთად იზრდება მოგებაც.

• ინფლაციის დროს ბიზნესმენები მიდრეკილნი არიან გაზარდონ თავიანთი პროდუქციის ფასები უკეთესი მოგების მისაღებად.

თუ ხელფასები და წარმოების ხარჯები სწრაფად იზრდება, მაშინ ინფლაციის ხელსაყრელი ეფექტი დიდხანს არ გაგრძელდება.

• თუ ინფლაცია ეკონომიკაში არის დანახარჯების ტიპის, მაშინ ინფლაციური სიტუაცია ჩვეულებრივ იწვევს წარმოების შემცირებას.

- არ არსებობს პირდაპირი კორელაცია ფასებსა და გამომუშავებას შორის.

ინფლაციას შემდეგი ეფექტები აქვს სიმდიდრის განაწილებაზე:

- ჩვეულებრივ, ინფლაციის დრო ადამიანების უმეტესობას შემოსავალი ეზრდება
- ზოგიერთმა შესაძლოა მოიგოს უფრო მეტი ვიდრე სხვებმა, რადგან ინფლაციის გამო შეძლებენ საქონლის უფრო მაღალ ფასში გაყიდვას.
- ადამიანთა გარკვეული ჯგუფი სარგებლობს იმის გამო, რომ მათი ფულის შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ფასები. ხოლო გარკვეული ჯგუფი კი კარგავს, რადგან ფასები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მათი შემოსავალი ინფლაციის დროს.

როგორ იზომება ინფლაცია?

თანამედროვე ეკონომისტები ინფლაციაში გულისხმობენ „ფასების საერთო დონის ზდას, აქედან გამომდინარე, როდესაც ვლაპარაკობთ ინფლაციის საზომზე აუცილებლად უნდა ვახსენოთ სამომხმარებლო ფასების ინდექსი. ეკონომისტები ინფლაციის გასაზომად სწორედ სამომხმარებლო ფასების ინდექსს იყენებენ. ამ ინდექსის გამოთვლის პროცესი 5 ეტაპად იყოფა.

I. პირველ ეტაპზე უნდა განისაზღვროს სამომხმარებლო კალათა. სამომხმარებლო კალათა არის, იმ მომსახურებისა და საქონლის ჩამონათვალი, რომელსაც ტიპური მომხმარებელი მოიხმარს წლის განმავლობაში. პირველ რიგში უნდა დადგინდეს ამ საქონლისა და მომსახურების სია. დღესდღეობით, საქართველოში ამ საქონლისა და მომსახურების რაოდენობა 305-ს აღწევს. 2012 წლიდან სამომხმარებლო კალათა ყოველწლიურად ახლდება.

II. სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქტების განსაზღვრის შემდეგ, საჭიროა მათი ფასების დადგენა და რეგისტრაცია. საქართველოში ეს პროცესი ყოველი თვის 10 დან 20 რიცხვამდე მიმდინარეობს, 5 დიდ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორსა და თელავში.

III. შემდეგ ეტაპზე დგინდება მთლიანი სამომხმარებლო კალათის ფასი, თითოეული პროდუქტის რეგისტრირებული ფასის მიხედვით.

IV. მეოთხე ეტაპზე ხდება საბაზისო წლის შერჩევა. საბაზისო არის წელი, რომელიც დგინდება გავლილი 4-5 წლის მანძილზე ზომიერი ფასების მიხედვით- როდესაც ინფლაცია ზომიერად მინიმალური იყო, ანუ არც ძალიან გაძვირებულია საქონელი და მომსახურება და არც ძალიან გაიაფებულია.

V. მეხუთე ეტაპი არის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. ამ ეტაპზე ითვლება ინფლაციის დონე სწორედ ამისთვის არის საჭირო დანარჩენი ოთხი დონის გავლა. ინფლაციის დონის დასადგენად საჭიროა საბაზისო წელს, ქვეყანაში პროდუქტის ფასები შევადაროთ დღევანდელ ფასებს. მაგალითად თუ საბაზისო წელს სამომხმარებლო კალათის ღირებულება იყო 100 და დღეს არის 110 ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში 10%-იანი ინფლაცია გვაქვს.

პანდემიით გამოწვეული ინფლაცია

დღესდღეობით მსოფლიო დიდი გამოწვევის წინაშე დგას. პანდემიამ მთლიანად შეცვალა მთელი ჩვენი ცხოვრება. ზოგიერთი სფეროსთვის პანდემიამ იმპულსის სახეც კი მიიღო და ხელი შეუწყო მის სწრაფად განვითარებას (მაგალითად მითანის სერვისი). თუმცა პანდემია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე ნამდვილად არ მოქმედებს კარგად. საქართველოს ეკონომიკაში დიდი წილი უკავია ტურიზმს და ასევე მომსახურეობის სფეროს. ამ ბოლო პერიოდში კი, ტურიზმი საგრძნობლად შემცირდა, რაც პანდემიიდან გამომდინარე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვის არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ჩვენს ქვეყანაში ფულის შემოღინება კი დიდად არის დამოკიდებული ტურიზმზე. ქვეყანაში ჩამოსულ ტურისტს შემოაქვს უცხოური ვალუტა და შემდეგ ახურდავენს ლარში, რაც ლარის კურსს ამყარებს და ინფლაციას ამცირებს. ჩვენნი პატარა და არამწარმოებელი ქვეყნისათვის კი ეს პროცესი უმნიშვნელოვანესია.

რაც შეეხება მომსახურების სფეროს, განვითარებულ ქვეყნების ეკონომიკაში ამ სფეროს დიდი როლი უჭირავს, ისევე როგორც განვითარებად ქვეყნებში. გამომდინარე აქედან, ამ სფეროზე ბევრი რამაა დამოკიდებული. კორონა ვირუსის პირობებში კი მთავრობის რეგულაციებიდან, მომხმარებლების შემცირებული რაოდენობისგან და თუმცა ზემოთ ნახსენები ტურიზმის კლებიდან გამომდინარე, ეს სფეროც მნიშვნელოვნად დაზარალდა. რამაც საერთო ჯამში ქვეყნის მწარმოებლუნარიანობა შეასუსტა და ინფლაციასაც ბიძგი მისცა.

ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხი პანდემიისა და ინფლაციის ურთერთქმედებაში სასურსათო უსაფრთხოებაა. პანდემიასთან დაკავშირებული რისკების გამო ქვეყნებმა დაიწყეს საკუთარ სასურსათო უსაფრთხოებაზე ფიქრი, ანუ ყველა ქვეყანაში მომხმარებლებზე იმოქმედა მოლოდინის პრინციპმა და მასიურად დაიწყო პირველადი მოხმარების პროდუქტების შეძენა. ამ დროს ქვეყნებმა დაიწყეს ექსპორტის შემცირება, რადგან თავიანთი ბაზარი დაეკმაყოფილებინათ. რამაც ჩვენნი, ექსპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებზე, განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა. ამის ნათლად დასაანახად ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იქნება საქართველოში ხორბლის ფასის ზდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა პირველ რიგში ზრუნავს რომ პურის ფასმა არ მოიმატოს, მაინც შეინიშნება ფასის მატების ტენდენცია. ეს კი სწორედ შემცირებული იმპორტითაა გამოწვეული. საქართველოში¹ ხორბალი შემოდის რუსეთიდან. პანდემიის პირობებში რუსეთმა მნიშვნელოვნად შეამცირა ექსპორტი, ამან გამოიწვია მოთხოვნის ზრდა ხორბალზე და შესაბამისად მისი ფასის ანევა. ფქვილზე ფასის ანევამ კი ჯაჭვური რეაქციით გაზარდა ფასი

დანარჩენ პროდუქტებზეც და ესე მოხდა არა მარტო ხორბალზე. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ ინფლაცია დიდწილადაა გამოწვეული ექსპორტის შემცირებით.

დასკვნა

ინფლაცია ერთ-ერთი აქტუალური და მტკივნეული პროცესია, რომელიც დიდ პრობლემას უქმნის ქვეყნის ეკონომიკას. ის არა მხოლოდ ამცირებს მსყიდველუნარიანობას, არამედ ხელს უშლის და ანადგურებს ეკონომიკის რეგულირების შესაძლებლობებს. განვითარებულ ქვეყნებში ინფლაცია არ წარმოადგენს დიდ საშიშროებას, რადგან იქ ფართოდ გამოიყენება შეზღუდვისა და კონტროლის მეთოდები, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ეს პროცესები მეტად რთულდება. საბოლოო ჯამში, ინფლაციის მართვა დიდ პრობლემას წარმოადგენს, თუმცა მისი რეგულირებისთვის საჭიროა მონეტარული პოლიტიკის გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა

ინფლაცია, მისი არსი და ტიპები.

<https://www.lari.ge/149-ekonomika-da-biznesi/454-inflacia-misi-arsi-da-tipebi.html>

საქართველოში წლიური ინფლაცია

<https://www.radiotavisupleba.ge/a/31542764.html>

ინფლაციის არსი და მისი დღევანდელი ტენდენციები საქართველოში

<http://geoeconomics.ge/?p=13363>

9 common effects of inflation

<https://www.investopedia.com/articles/insights/122016/9-common-effects-inflation.asp>

What make it hart to control inflation

<https://www.chicagobooth.edu/review/what-makes-it-hard-control-inflation?fbclid=IwAR1Nsu-RmSgcg6S-j7df-KloNjXP5CJsA4KjWxasz3SNQDQGIniEsREITbIA>

Problems with inflantion

https://courses.lumenlearning.com/wm-macroeconomics/chapter/the-confusion-over-inflation/?fbclid=IwAR0QrAYDjOvN1_fCjpGR3pxreVA7f_JW3uy-TGj4vdRPLBNHJTftaxKWP0s

კოსტკრიზისული პანდემიური პერიოდის გამოწვევები 2021

ჯამალ ფიროსმანაშვილი სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია ბაკალავრიატი

ხელმძღვანელი: მიხეილ შავთვალაძე

აბსტრაქტი

COVID 19-ით გამოწვეულმა კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გლობალურ ეკონომიკაზე. ვირუსი, რომელიც, თავდაპირველად, ჩინეთის ქალაქ ვუჰანში დაფიქსირდა, სწრაფად გავრცელდა მსოფლიოს მასშტაბით. 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კოვიდ-19 პანდემიად გამოაცხადა. ვირუსით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გავრცელდა ქვეყნების უმრავლესობაზე, დაზარალდა მიწოდების არხები, შემცირდა ერთობლივი მოთხოვნა იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებაზე, შეიზღუდება ტურიზმი და საქმიანი მივლინებები. საქართველოსა და ზოგადად მსოფლიოსთვის COVID-19-ით გამოწვეული პანდემია ერთგვარ გამოცდად იქცა, რომელმაც განსაკუთრებული მასშტაბი შეიძინა და სრულიად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური რიტმი. იმის გათვალისწინებით, რომ პანდემიამ დიდი გავლენა იქონია თითქმის ყველა სფეროზე, პროფესიონალები სხვადასხვა მიმართულებიდან მრავლად აქვეყნებენ საყურადღებო შესაფერვებსა თუ განმარტებებს იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც განხორციელდა ცალკეულ ქვეყანასა თუ მსოფლიოში. მეცნიერთა წვრილმანმა დაუკვირვებლობამ ასეთ შედეგამდე მიგვიყვანა. „წვრილმანებია უმთავრესი, წვრილმანები!.. დალუპვითაც სწორედ ეს წვრილმანები ღუპავენ ხოლმე ყოველთვის ყველაფერს... ”.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, კრიზისი, გავლენა, უარყოფითი შედეგები, მოთხოვნა.

Challenges of the Post-Crisis Pandemic Period 2021

Jemal Piroshmanashvili

**LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Baccalaureate**

Supervisor: Mikheil Shavtvaladze

Abstract

The crisis caused by COVID 19 has had a significant impact on the global economy. The virus, which was originally detected in the Chinese city of Wuhan, has spread rapidly around the world. On March 11, 2020, the World Health Organization declared the Covid-19 pandemic. The negative effects caused by the virus have spread to most countries, supply channels have been affected, aggregate demand for imported goods and services has been reduced, and tourism and business trips have been curtailed. The pandemic caused by COVID-19 for Georgia and the world in general has become a kind of test, which has acquired a special scale and completely changed the daily rhythm of our lives. Given that the pandemic has had a profound effect on almost every field, professionals from many different backgrounds publish many observations or explanations about the changes that have taken place in a particular country or in the world.

Keywords: Pandemic, Crisis, Influence, Negative Consequences, Demand.

შესავალი

გასული წელი, როგორც მთელი მსოფლიოსთვის, ისე საქართველოსთვის იმაზე უარსეი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ ეს წარმოგვედგინა. ბოლო წლებში, საქართველოში, ლარის კურსის დაცემა, ინფლაცია, ინვესტიციების შემცირება და სახელმწიფო ვალის ზრდა აღარ არის გასაკვირი, ხოლო რაც შეეხება ექსპორტსა და ტურიზმს, ბოლო წლებში არსებული დადებითი ტენდენცია ჩვენდა სამწუხაროდ შეწყდა. აქედან გამომდინარე, წარმოგედგენთ სტატისტიკებს და ფაქტებს, იმისთვის, რომ უფრო თვალსაჩინოდ და რაც შეიძლება ზუსტად გადმოვცე ჩემი სათქმელი.

ეკონომიკა

ჯერ კიდევ 2019 წლის ბოლოს, საქართველოს მთავრობა პროგნოზირებდა, რომ ეკონომიკა საქართველოში 4,5%-ით გაიზრდებოდა და მართლაც, იანვარში ეკონომიკა გაიზარდა 5,1%, თუმცა სამწუხაროდ პანდემიის პერიოდში არსებული ეკონომიკის ყველაზე მაღალი მაღვნივლებელი იქნება ეს მონაცემი, ამ დროიდან უკვე კლებას იწყებს და უკვე თებერვლიდან ეკონომიკა 2,2%-მდე შემცირდა. გვახსოვს, რომ უკვე 21 მარტიდან გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და აქედან გამომდინარე მარტში ეკონომიკა 2,7%-ით შემცირდა. შეწყდა ტურიზმი, მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი და ფულადი გზავნილები, ქვეყნის შიგნით გარკვეული ეკონომიკური საქმიანობა სრულიად შეჩერდა. ამის შედეგად სადღაც, აპრილ-ივნისში ეკონომიკა 13%-ით შემცირდა. სიტუაციის შედარებით გაუმჯობესების და შეზღუდვების თანდათან შემცირების შედეგად ეკონომიკის კლების ტემპი 13 დან 3,8%-მდე შემცირდა, თუმცა უკვე სექტემბრიდან პანდემიის მეორე ტალღა დაიწყო და მთავრობამ ისევ გაამკაცრა შეზღუდვები, კანსაკუთრებით იმ დროიდან, როდესაც კომენდანტის საათი დააწესა. მართალია შეზღუდვები არცისე მკაცრი იყო, თუმცა ყველაზე რთული გადასატანი ეს ბიზნესის სფეროსთვის აღმოჩნდა.

2020 წლის პირველი 9 თვის მონაცემებით, ყველაზე დიდი კლება სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში იყო, რომელმაც 32%-ს მიაღწია. 20% იანი კლება ტრანსპორტის სექტორში.

ლარის კურსის ჰარდნა

კურსის ვარდნამ გააძვირა იმპორტირებული პროდუქცია და ამასთან, შექმნა ნეგატიური მოლოდინები ფასების კიდევ უფრო ზრდის მიმართულებით. 2019 წელს ფასები 7%-ით გაიზარდა, აქედან გამომდინარე, 2020 წლის დასაწყისში ეროვნულ ბანკს უკვე გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა ჰქონდა, რეფინანსირების განაკვეთი 9% იყო, ზაფხულში კი 8%-მდე შემცირდა და სექტემბრიდან დაწყებული ლარის გაუფასურებას ახალი ტალღის გამო, წლის ბოლომდე 8%-ზე დარჩა.

2019 წლის დასაწყისში ლარის კურსი დოლარის მიმართ შეადგენდა 2 ლარს და 87 თეთრს. პანდემიის გამო დაწესებულმა ეკონომიკურმა შეზღუდვებმა, ტურიზმის შეჩერებამ, ექსპორტის შეჩერებამ ლარის სწრაფი გაუფასურება გამოიწვია და უკვე 27 მარტს ერთი დოლარი 3.48 შეადგენდა. იმის შემდეგ რაც ეროვნულმა ბანკმა დოლარი გაყიდა და სიტუაცია ცოტათი ჩაწყნარდა ლარი 3,04 მდე გამყარდა. მაღევე ისევ გაუფასურდა და 3,27-ზე შეჩერდა. რაც შეეხება ევროს, ლარის კურსმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და ერთი ევრო 4 ლარს და 3 თეთრს გაუტოლდა.

ეროვნულმა ბანკმა კურსის გაუფასურების შესაჩერებლად მარტიდან წლის ბოლომდე სავალუტო აუქციონზე 843 მილიონი დოლარი გაყიდა. ამ თანხით ნაწილობრივ დაიფარა ის ნაწილი, რაც საქართველოს საგარეო წყაროებიდან, განსაკუთრებით ტურიზმიდან დააკლდა.

საგარეო ვაჭრობა და ტურიზმი

2020 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 14.6 %-ით შემცირდა. ექსპორტი შემცირდა 13%-ით და 3 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 16%-ით შემცირდა და 7,2 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ექსპორტის შემცირება ძალიან ბევრმა პროდუქტმა განაპირობა, დაწყებული მსუბუქი ავტომობილებიდან, დამთავრებული მინერალური წყლებამდე. ხოლო იმპორტის შემცირება ძირითადად მსუბუქ ავტომობილების (-326 მილიონი დოლარი) და ნავთობპროდუქტების (-235 მილიონი დოლარი) შემოტანის კლებამ განაპირობა.

საბოლოოდ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ექსპორტზე მეტად იმპორტი შემცირდა, იანვარ-ნოემბერში სავაჭრო დეფიციტი 971 მილიონი დოლარით შემცირდა და 4.2 მილიარდი დოლარი შეადგინა.

2020 წელი ტურიზმის ზრდით დაიწყო. იანვარში უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 19%-ით გაიზარდა, თუმცა თებერვლიდან უკვე პანდემიის გავლენა დაეტყო და შემცირება დაიწყო. 18 მარტიდან საქართველოს საზღვრები ჩაკეტა და ვიზიტორების შემოსვლა შეწყდა. აგვისტოში საჰაერო საზღვრები ნაწილობრივ გაიხსნა, თუმცა ამას დიდი გავლენა არ მოუხდენია და იანვარ-ნოემბერში ვიზიტორების რაოდენობა 81%-ით შემცირდა. 11 თვეში სულ 1.7 მლნ ვიზიტორი შემოვიდა, აქედან 1.1 მლნ იანვარ-თებერვალში შემოვიდა. მარტ-ნოემბერში ვიზიტორების სტატისტიკა ძირითადად საერთაშორისო გადაზიდვებში დასაქმებულ მძღოლებს მოიცავდა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

დღეისათვის 2021 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პირველი სამი კვარტალის სტატისტიკა არის მხოლოდ ცნობილი, რომლის მიხედვითაც საქართველოში 719 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, რაც 2019 წლის ანალოგიური პერიოდის ინვესტიციებზე 24%-ით ნაკლებია. ჯამში, 9 თვეში 227 მლნ დოლარით ნაკლები ინვესტიცია შემოვიდა. ინვესტიციები ყველაზე მეტად შემცირდა ირლანდიის, ამერბაიჯანის და თურქეთის მხრიდან, ხოლო ყველაზე მეტი ინვესტიცია შემოვიდა გაერთიანებული სამეფოდან, ნიდერლანდებიდან და აშშ-დან.

სექტორების მიხედვით, 2021 წლის 9 თვეში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში შემოვიდა – 302 მლნ დოლარი. შემდეგ მოდის სამთომომპოვებითი მრეწველობა 69 მლნ დოლარით და დამამუშავებელი მრეწველობა 65 მლნ დოლარით. ყველაზე მცირე ინვესტიცია ტრანსპორტსა და ჯანდაცვის სექტორში განხორციელდა – 4 და 7 მლნ დოლარი. სამწუხაროა, რომ ინვესტიციებს ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, ვინაიდან ეს არაა მხოლოდ საქართველოს სიტუაციაზე დამოკიდებული არამედ ინვესტორი ქვეყნების ეკონომიკურ სიტუაციაზე. „Investment is a flighty bird which needs to be controlled ”.

სახელმწიფო ბიუჯეტი და ვალი

და გადავალ ჩვენთვის საკმაოდ მტკინველ ნაწილზე, ეს არის სახელმწიფო ბიუჯეტი და სახელმწიფო ვალი. როგორც ვიცით, პანდემიის გამო, ივნისში 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი შეიცვალა და იმის შემდეგ სიტუაცია ამ მიხედვით თითქმის არ შეცვლილა. ცვლილების შედეგად შემოსულობები 3.9 მილიარდი ლარით გაიზარდა და 18.4 მილიარდი ლარი შეადგინა. შექმნილი მძიმე სიტუაციის გამო მთავრობას უწევდა დამატებით ვალის აღება. ბიუჯეტის გადასახდელები 1.5 მილიარდი ლარით გაიზარდა და 15.9 მილიარდი ლარი შეადგინა. ხარჯების ზრდა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ზრდას განაპირობა.

ბიუჯეტის შეცვლის შედეგად ყველაზე მეტად სამი სამინისტროს ხარჯები გაიზარდა – ჯამში 1.7 მლრდ ლარით. ესენია: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

2020 წლის 11 თვეში (იანვარ-ნოემბერში) სახელმწიფო ვალი 9.5 მილიარდი ლარით გაიზარდა და 30 ნოემბრის მდგომარეობით 30.2 მილიარდი ლარი შეადგინა. სახელმწიფო ვალის ზრდა ახალი 7 მილიარდი ლარის ვალად აღება და ლარის გაუფასურებამ გამოიწვია. 11 თვეში საშინაო სახელმწიფო ვალი 1.9 მილიარდი ლარით, ხოლო საგარეო სახელმწიფო ვალი 7.6 მილიარდი ლარით გაიზარდა. სახელმწიფო ვალი მშპ-ის მიმართ 61%- ია. 2019 წლის ბოლოს სახელმწიფო ვალი მშპ- ის მიმართ 42% იყო. თუმცა დღესდღეობით ზემოთ აღნიშნული მონაცემები ნელ-ნელა იკლებს.

ბაზოსავალი

საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ტურიზმის აღდგენა, კერძოდ, უცხოელი ვიზიტორების შემოსვლა. 2019 წელს საქართველოში 9.4 მლნ ვიზიტორი შემოვიდა, თუმცა ჩვენდა სამწუხაროდ ამ მაჩვენებელს საქართველო 2021 წელს ვერ დაუბრუნდა. დაახლოებით რამდენი ვიზიტორი შემოვა, რთულად პროგნოზირებადია, რადგან ეს მხოლოდ საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე არაა დამოკიდებული. ქვეყნებში, საიდანაც საქართველოში ვიზიტორების დიდი ნაკადები შემოდიოდა, მძიმე ეპიდემიოლოგიური და ეკონომიკური სიტუაცია იყო ან უკვე გასულ წელს, საქართველო კი ბოლო მონაცემებით მსოფლიოში მეორეა ასეთი საშინელი სიტუაციის მხრივ (მაღალი სიკვდილიანობის მაჩვენებელი). თუმცა, ნეგატიურ ნოტაზე რომ არ დავამთავროთ, არსებული სიტუაცია უკეთეს მომავალს გვპირდება, მართალია ძნელი იქნება ასეთი სიტუაციიდან თავის დაღწევა, თუმცა საერთო ძალებით არა შეუძლებელი. „ We must accept finite disappointment, but we must never lose infinite hope ”.

ბამოყენებული ლიტერატურა

https://unece.org/sites/default/files/2021-04/Report_COVID-19_GEORG_08_April_2021_Tbilisi.pdf

<https://forbes.ge/gasuli-tseli-da-2021-tslis-gamotsvevebi/>

<https://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD>

<https://eap-csf.ge/wp-content/uploads/2021/03/EAP-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98.pdf>

<https://news.ge/ge/ekonomika/208822/irakli-nadareishvili-saqartveloshi-ekonomikuri-zrdis-rekorduli-machveneble-bi-dapiqsirda-rats-imis-tsinapirobaa-rom-qvekana-aqtiuri-ekonomikuri-agdgenis-pazashi-shedis>

[https://www.bdo.ge/ka-ge/industriebi/coronavirusi-\(covid-19\)-ka](https://www.bdo.ge/ka-ge/industriebi/coronavirusi-(covid-19)-ka)

დაზვერვის როლი ერაყის 2003 წლის კონფლიქტში

თორნიკე ფიჩხნარაშვილი

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულება

ხელმძღვანელი: პროფესორი ლევან გიგეშიძე

აბსტრაქტი

2003 წლის ერაყის კონფლიქტი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა თანამედროვე მსოფლიოში. არსებობს საკითხის როგორც პოლიტიკური ასევე სამხედრო ასპექტი. დისკუსიის პირობებში განხილული იქნა დაზვერვის როლი კონფლიქტის გაღვივებაში, აქედან გამომდინარე ნაშრომში წარმოდგენილია სპეცსამსახურების საქმიანობა როგორც ომის დაწყების წინ ასევე დამთავრების შემდგომ. 2002 წლის დაზვერვის ანგარიშები და მოხსენებები, რომელიც შემდგომ ახალი გამოძიების პირობებში მცდარი გამოდგა გახდა დიდი განხილვის თემა, როგორც პოლიტიკურ ჯგუფებში ასევე საზოგადოების დიდ ნაწილში. ნაშრომის მიზანია აღწეროს კონკრეტული პოლიტიკური და სადაზვერვო მოქმედებები, რომელიც შემდგომში გახდა ომის დაწყების საბაბი. კვლევის პირობებში მოცემულია მსჯელობა უსწრებდა თუ არა წინ პოლიტიკური პროცესი სადაზვერვო საქმიანობას. წყაროს სახით გამოყენებულია, როგორც კონკრეტული სადაზვერვო მოხსენებები ასევე წიგნები და სხვადასხვა ლიტერატურა.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული უსაფრთხოება, პოლიტიკა, სამხედრო ძალა, დემოკრატია, ეკონომიკა, სახელმწიფო, თეორია.

Role of intelligence in Iraq 2003 conflict

Tornike Pichkhonarashvili

LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Baccalaureate

Direction of Defense and security

Supervisor: Mikheil Shavtvaladze

Abstract

My work is about the role of intelligence services in 2003 Iraq conflict. After first war of Persian war intelligence operations were intensified. Exactly the intelligence about WMD was the main cause of war. In The work describe political and intelligence actions that caused the war in this region. This paper will answer about the questions , that were unclear before and after the war. Paper will discuss whether or not the intelligence agencies under the political pressure. At the time of write I used to concrete intelligence reports at the start, in progress and end of the war. Used as a source concrete reports and books for intelligence.

Keywords: national security, politic, military power, democracy, economy, state, theory

შესავალი

2003 წლის ერაყის კონფლიქტი დღემდე მსოფლიოს უახლესი ისტორიის განსახილველი თემაა. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციები დიდი ყურადღების ქვეშ მოექცა, თუმცა ომის დაწყების მიზეზი დღეს კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ არის. შეიძლება ითქვას, რომ 2003 წლის ერაყის კონფლიქტი წარმოიშვა, როგორც სადამის ტერორისტებთან კავშირიდან გამომდინარე, ასევე დაზვერვის მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მასიური განადგურების იარაღის შესახებ (WMD). სპეცსამსახურების მონაცემები გახდა ომის დაწყების ერთ-ერთი საბაზი, თუმცა ომის შემდგომ პერიოდში ახალი ჩატარებული გამოძიებები ამტკიცებს, რომ სადამის რეჟიმს არანაირი მასობრივი განადგურების იარაღი არ გააჩნდა¹. აქედან გამომდინარე უნდა დაისვას კითხვები: მოექცა თუარა დაზვერვის სამსახური პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ? იყო თუ არა ეს ყოველივე მიზან მიმართული სადამის რეჟიმის დასამხობად?

შეიძლება ითქვას, რომ ერაყის ომის მიზეზების კვლევისას საკითხის სუბიექტური აღქმა ბევრად უფრო ჭარბობს ვიდრე ობიექტური შეფასება. სტატიამ კონკრეტულ ემპირიული ფაქტების ანალიზის შედეგად შევეცდებით შევისწავლოთ თუ როგორ მოხდა დაზვერვის მიერ მოპოვებული მასალების გამოყენება ძალის გამოყენების გამართლების მიზნით. საკითხი დღემდე ინარჩუნებს აქტუალურობას და ფართოდ განიხილება ამერიკის საზოგადოებაში.

ერაყის კავშირი კავშირი ტერორისტებთან

სადამის კავშირს ტერორისტულ ორგანიზაციებთან ისტორიული საფუძვლები აქვს. მისი კავშირი ტერორისტებთან ყოველთვის იქცევდა სპეცსამსახურების ყურადღებას. ერთ-ერთი გახმაურებული შემთხვევა სპარსეთის ყურის ომის შემდგომ ჯორჯ ბუშ პირველის ლიკვიდაციის მცდელობას უკავშირდება. გამოძიებამ დაადგინა კავშირი ერაყის მთავრობასა და ტერორისტებს შორის, რასაც აგრესიული პასუხი მოყვა აშშ-ს მხრიდან. ეს ყოველივე კი ბალდადში არსებული სადაზვერვო სამსახურების ლოკაციების დაბომბვაში გამოიხატა². სადამ ჰუსეინის კავშირი ტერორისტებთან არაერთი ფაქტით მტკიცდება. არსებობდა გარკვეული წრე იმ ტერორისტებისა, რომლებსაც ახლო ურთიერთობა ქონდათ სადამ ჰუსეინთან და მის რეჟიმთან. **საბრი ხალილ ალ-ბანა** პალესტინური სამხედრო-ნაციონალისტური გაერთიანება „აბუ ნიდალის ორგანიზაციის“ (ANO) დამფუძნებელი და ლიდერი. იგი იყო ყველაზე გახმაურებულ საქმის, გაერთიანებულ სამეფოში ისრაელის ელჩზე შლომო არგოვზე განხორციელებული თავდასხმის ავტორი. იგი 2002 წელს გარდაიცვალა და სიკვდილამდე ბოლო პერიოდში თავს ერაყს აფარებდა³. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ანგარიშში, რომელიც ნიუ-იორკ თაიმსმა გამოაქვეყნა ნათლად არის ასახული სადამის ფინანსური დახმარების შესახებ ტერორისტების მიმართ. იგი გვამცნობს რომ სადამი თითო თვითმკვლელ ტერორისტის ოჯახს 25 000 დოლარამდე თანხით ეხმარებოდა⁴.

ამერიკის სპეცსამსახურების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე **ალ-ზარქავი**, რომელიც სადამის მმართველობის დროს თავისუფლად გადაადგილდებოდა ერაყის ტერიტორიაზე. იგი მრავალ ადგილას შეამჩნიეს მათ შორის არაერთხელ ბალდადში. ალ-ზარქავი იმდენად „მსხვილი“ ფიგურა გახლდათ, რომ სადამისთვის იგი ყველაზე „მძიმე“ ბრალდებით შეგვიძლია მივიჩნიოთ, ტერორისტებთან კავშირის თვალთახედვით. 9/11-ის ტერაქტის შემდეგ, იგი პირდაპირ იყო დაკავშირებული ამერიკის შეერთებული შტატების ნომერ პირველ სამიზნეებთან - „თალიბანთან“ და ტერორისტულ დაჯგუფება „ალ-ქაიდასთან“. 2005 წლის მდგომარეობით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ზარქავის სანაცვლოდ დიდ სამლაურს - \$25 მილიონს იხდიდა⁵.

დაზვერვის მონაცემები მასიური განადგურების იარაღის შესახებ.

ტერორისტებთან კავშირის გარდა, ერაყში შეჭრის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამების არსებობა სახელდება. 2002 წელის ოქტომბრის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ გამოქვეყნებულ სპეციალურ ანგარიშში საუბარი იყო ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამებზე⁶. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ანგარიშში მოხსენიებული იყო, რომ გაეროს რეზოლუციების მიუხედავად, ერაყი იარაღის პროგრამებს ფარულად განაგრძობდა. 1998 წელს გაეროს ინსპექტორების გაძევების შემდგომ სადამმა მოცემული პროგრამა განაგრძო. ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ ოფიციალური ბალდადი სპარსეთის ყურის ომის შემდეგ, მასიური განადგურების იარაღის ირგვლივ არსებულ მდგომარეობას და რეალურ სურათს განზრახ ამახინჯებდა და მალავდა. ბრიტანეთის და ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურები მოცემულ პროგრამებს 3 ტიპად ყოფნენ ესენია: **ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური** პროგრამები. ცნობილია, რომ 1990-1991 წლის კონფლიქტამდე ერაყს გააჩნდა ბირთვული იარაღის განვითარების პროგრამა. ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს რეპორტში ნათქვამია, რომ „ბალდადი ურანის გამდიდრების სხვადასხვა საშუალებას ცდილობდა, საიდანაც ყველაზე წარმატებული ელექტრომაგნიტური იზოტოპების (EMIS) დაცალკევა და გაზის ცენტრიფუგის პროგრამა იყო.“⁷ **დაზვერვის ანალიტიკური მხარე** მოითხოვდა პასუხს იმის შესახებ თუ როდის მოახერხებდა სადამი

1 Phythian, Alan Doig and Mark. "The National Interest and Politics of Threat Exaggeration." 2005.

2 Johnson, Loch K. Handbook of Intelligence Studies. 2007.

3 Affairs, Israel Ministry of Foreign. "Iraqi Support for and Encouragement of Palestinian Terrorism." 2002.

4 CIA. "Iraq's Weapons of Mass Destruction Programs." 2002.

5 Affairs, Israel Ministry of Foreign. "Iraqi Support for and Encouragement of Palestinian Terrorism." 2002

6 CIA. "Iraq's Weapons of Mass Destruction Programs." 2002

7 CIA. "Iraq's Weapons of Mass Destruction Programs." 2002.

საბოლოოდ იარაღის დასრულებას. მათი ვარაუდით ეს ყოველივე დამოკიდებული იყო ნივთიერებების მიღების ინტენსივობაზე. ისინი ფიქრობდნენ, რომ სადაში თუ უცხოეთიდან უწყვეტად გააგრძელებდა შეძენას იმ შესაბამისი მასალის, რომელიც აუცილებელი იყო მოცემული პროგრამების განსახორციელებლად 1 წლის თავზე მოახერხებდა ბირთვული იარაღის შექმნას⁸.

სადამ ჰუსეინისათვის კარგად ნაცადი სწორედ ქიმიური იარაღი იყო. მისი გამოყენების ინტენსივობა საკმაოდ დიდი იყო. ბრიტანეთის გაერთიანებული სადაზვერვო კომიტეტის 2002 წლის ანგარიშში ნათქვამია „აშენდა ახალი ქიმიური ობიექტები, რომლებიც სრული დატვირთვის ეწევიან წარმოებას ან მზად არიან ასამუშავებლად. მათ შორის არის ტარმიაჰში განთავსებული ქიმიური კვლევის ცენტრი“⁹.. იგივე ანგარიშის მიხედვით წარსულში არსებული პირები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ქიმიური პროგრამის მიმდინარეობაში ერაყი არ დაუტოვებიათ და ისინი საქმიანობის გაგრძელების პროცესში იყვნენ.

2002 წლის ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს ანგარიში გვამცნობს, რომ ერაყის ხელისუფლებამ დაადასტურა სპარსეთის ყურის ომამდე წარმოებული ათასობით ლიტრ ანტრაქსის შემოტანა ბიოლოგიური იარაღისთვის, ბოტულინუმს ტოქსინს ბიოლოგიური იარაღის ჯურვებს, საჰაერო ბომბებსა და საჰაერო ხსნარებს. „ბაღდადს არ მოუწოდებია დამატებული მტკიცებულებები, ბიოლოგიური იარაღის აგენტისა და შეიარაღების ცალმხრივი განადგურების შესახებ“¹⁰. ანგარიშში ასევე ნახსენებია ერაყის ტერიტორიაზე მოცემული საწარმოების განთავსების შესახებ. ასევე მისი ანალოგი განიხილავს მოძრავ ლაბორატორიებს და ლოკაციებს შეუმჩნელობის წარმოების გამო.

2002 წლის დაზვერვის მონაცემებმა მნიშვნელოვნად გაამწვავა იმდროისათვის არსებული პოლიტიკური სიტუაცია. ჯორჯ ბუშ უმცროსის ადმინისტრაციამ, რომლის უმეტეს ნაწილს გამოცდილება ჰქონდათ სადამის რეჟიმთან მუშაობის საკმაოდ ნეგატიურად იყვნენ განწყობილი ერაყის ქმედებების მიმართ. ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებს უკვე დაწყებული ჰქონდა ომის ტერორიზმის წინააღმდეგ. მისი ჯარები იმყოფებოდნენ ავღანეთში, ხოლო გლობალური მასშტაბით ახორციელებდნენ ტერორიზმთან ბრძოლას. ბუნებრივია ეს უბიძგებდა მათ გადაედგათ მყისიერი ნაბიჯები ერაყის წინააღმდეგ.

ასევე საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური დაზვერვის სამსახურის ყოფილი შეფის ჯორჯ ტენეტის მოსაზრება, რომ სადამ ჰუსეინის „დაუმთავრებელი“ საქმის დასრულებაზე ჯორჯ ბუში უმცროსი 9/11-ის ტერაქტამდეც¹¹ ფიქრობდა. 2003 წლის 20 მარტს აშშ-ს ძალები ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასაშოხობად შეიჭრნენ.

ომის შემდეგ გამოძიება

როგორც უკვე განვიხილეთ სადაზვერვო სამსახურებმა ომის წინა პერიოდში წარადგინეს ინფორმაცია სადაც ისინი ადასტურებდნენ ერაყში არსებული მასიური დაზიანების იარაღის არსებობას. მაგრამ სამხედრო ოპერაციების დაწყების მერე ეს ყოველივე ვერ დადასტურდა. 2003 წლის ერაყში შეჭრისა და სწრაფად ბაღდადისაკენ წინსვლის შემდგომ ვერ მოხდა მასიური განადგურების იარაღის მარაგების აღმოჩენა. ამ ყოველივემ საკმაოდ დიდი დაპირისპირება გამოიწვია საზოგადოებაში ვინაიდან მედია იმ დროისათვის ხმამაღლა გააჟღერა, რომ მთავრობას გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ. ვინაიდან მათ წარადგინეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის ადმინისტრაციის 2002 წლის სექტემბრის ანგარიში, რომელიც დამტკიცებული იყო¹² (Committee 2002) (JIC) ის მიერ. ამავდროულად ამერიკაში დაიწყო გამოძიება საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა, რომელმაც განაცხადა, რომ შეისწავლიდა წარუდგინა თუ არა მთავრობამ პარლამენტს სრული ინფორმაცია ერაყში სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე, მით უმეტეს მასიური განადგურების იარაღის შესახებ. მისი მთავარი პრობლემა იყო ის, რომ მას არ შეეძლო გასაიდუმლოებულ ფაილებზე სრული წვდომა, იგი შემოიფარგლებოდა მხოლოდ მთავრობის მიერ დაშვებულ დოკუმენტებზე¹³. იქიდან გამომდინარე, რომ კომიტეტს არ აძლევდნენ დაშვებას ფაილებზე და პერსონალზე ეს უკვე ნიშნავდა, რომ მათ მხარდაჭერა არ გააჩნდათ. ამ ყოველივეს გათვალისწინებით მათი გამოძიება ვერ ჩაითვლებოდა საბოლოო დასკვნად.

ბრიტანეთში გამოძიება სხვა ფაზაში გადაიზარდა, როდესაც უკვე საქმეში დაზვერვისა და უსაფრთხოების კომიტეტი ჩაერთო (ISC). ეს ყოველივე საკამათო საკითხი გახდა ვინაიდან მიიჩნევდნენ რომ მოცემული კომიტეტი რაღაც დოზით სუბიექტურად იყო განმსჭვალული საქმის მიმართ. სადაზვერვო და უსაფრთხოების კომიტეტმა პირველივე ეტაპებზევე დაიწყო გამოძიება იყო თუ არა დაზვერვის ინფორმაცია სათანადო რის შედეგადაც მოხდა ერაყში შეჭრა. 4 თვიანი გამოძიების შემდეგ მან ომამდე არსებული სადაზვერვო საქმიანობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია. მუხედავად გაჩენილი ეჭვებისა კომისიამ სრულად ვერ გასცა კითხვებს პასუხი. აქედან გამომდინარე დადგა საკითხი გამოიყენა თუ არა კეთილსინდისიერად (ISC)-მ დაზვერვის საქმიანობა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ სრული წვდომა დაზვერვის მონაცემებზე. მთავარი კითხვა წინ უსწრებდა თუ არა პოლიტიკური პროცესი დაზვერვის ქმედებებს პასუხგაუცემელი დარჩა. მათი განცხადებით მოხდა ბრიტანეთის გაერთიანებული სადაზვერვო კომიტეტის ყველა მონაცემის ნახვა 1995 წლიდან 2002 წლის სექტემბრამდე. როგორც აღმოჩნდა სადაზვერვო მონაცემთა 8 პუნქტიდან,

8 CIA. "Iraq's Weapons of Mass Destruction Programs." 2002

9 Committee, JIC Joint Intelligence. "IRAQ'S WEAPONS OF MASS DESTRUCTION THE ASSESSMENT OF THE ." 2002.

10 CIA. "Iraq's Weapons of Mass Destruction Programs." 2002

11 enet, G., & Harlow, B. "At the Center of the Storm: My Years at the CIA. HarperCollins." 2007.

12 2002 წლის სექტემბრის ანგარიში, რომელიც დამტკიცებული იყო

13 FAC. "The Decision to go to War, para. 161." n.d.

მხოლოდ 5 გადამოწმება მოხდა¹⁴. დაიწყო ახალი გამოძიება რის შედეგადაც იკვეთებოდა ახალი გარემოება. მაგალითად ბრიტანეთის საგამოძიებო გამოკითხვის ანგარიშში მოცემული იყო (JIC) დასკვნა რომ „ერაყი მისდევს ბირთვული იარაღის პროგრამას“ არასწორი აღმოჩნდა. ასევე „ერაყს გააჩნია 1000 კმზე მტყორნი 20 რაკეტა“¹⁵ არასწორი ინფორმაცია იყო. დაზვერვის ანგარიშში (JIC 2002) ასევე მოცემული იყო „ერაყს სპარსეთის ყურის ომიდან დღემდე შეუძლია აწარმოოს (WDM) პროგრამები“¹⁶ -გადაჭარბებული აღმოჩნდა. ახალი გამოძების მიხედვით რომელიც დაზვერვისა და უსაფრთხოების კომიტეტმა ჩაატარა გამოჩნდა, რომ დაზვერვის სამსახურში ინფორმაციის თვალსაზრისით საკმაოდ ბევრი ხარვეზი აღმოჩნდა.

ომის შემდგომი გამოძებით დადგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ომის დაწყების მიზეზი მონაცემების სიმცირე იყო საკმაოდ რთული აღსაქმელი აღმოჩნდა იქიდან გამომდინარე, რომ ხალხს კითხვებზე პასუხის გაცემა სჭირდებოდა. ბრიტანეთის პარტიის ყრილობაზე გაიჟღერა ციტატამ „ პრობლემა ის არის, რომ მე შემიძლია ბოდიში მოვიხადო იმ ინფორმაციისათვის, რომელიც მცდარი აღმოჩნდა.. მაგრამ მე გულწრფელად მაინც არშემიძლია ბოდიში მოვუხადო სადამს გადაყენებისათვის“¹⁷.

დასკვნა

2003 წლის ერაყის კონფლიქტმა გამოიწვია ყველაზე დიდი დისკურსია, როგორც საზოგადოების უმეტეს ნაწილში, ასევე პოლიტიკურ ჯგუფებში. ნაშრომში განხილილეთ სადამის რეჟიმის კავშირი ტერორისტულ ორგანიზაციებთან და ტერორისტებთან. წარმოდგენილი იქნა სოპეცსამსახურების მიერ მოპოვებული კონკრეტული ანგარიშები, რომელიც ომის დაწყებამდე ამტკიცებდა მასიური განადგურების იარაღის არსებობას ერაყის ტერიტორიაზე, თუმცა ომის შემდგომი სადაზვერვო კვლევების შედეგად ეს ყოველივე მცდარი გამოდგა. როგორც ამრიკულმა ასევე ბრიტანულმა მხარემ გამოძიების პირობებში დაადგინა პოლიტიკური ზეგავლენა დაზვერვის მიმართ. როგორც უკვე ვახსენეთ მოცემული საკითხი საკმაოდ დიდი განხილვის თემა გახდა, იქიდან გამომდინარე, რომ მრავალ კითხვას უნდა გასცემოდა სრული პასუხი. სადაზვერვო მონაცემებმა ერაყის კონფლიქტის გაღვივებას მაქსიმალურად მისცა ბიძგი, თუმცა პოლიტიკა წინ უსწრებდა სპეცსამსახურების საქმიანობას, ეს ყოველივე კი ჩვენი კვლევის პირობებში ნათლად აისახა.

გამოყენებული ლიტერატურა

- Affairs, Israel Ministry of Foreign. “Iraqi Support for and Encouragement of Palestinian Terrorism.” 2002.
CIA. “Iraq’s Weapons of Mass Destruction Programs.” 2002.
Committee, JIC Joint Intelligence. “IRAQ’S WEAPONS OF MASS DESTRUCTION THE ASSESSMENT OF THE .” 2002.
Cook, Robin. ““The Die Was Cast: The Dossiers Were Irrelevant”, The Independent on Sunday.” 2004.
FAC. “The Decision to go to War, para. 161.” n.d.
Johnson, Loch K. Handbook of Intelligence Studies. 2007.
Phythian, Alan Doig and Mark. ““The National Interest and Politics of Threat Exaggeration.” 2005.
Tenet, G., & Harlow, B. “At the Center of the Storm: My Years at the CIA. HarperCollins.” 2007.

14 Johnson, Loch K. Handbook of Intelligence Studies. 2007.

15 Committee, JIC Joint Intelligence. “IRAQ’S WEAPONS OF MASS DESTRUCTION THE ASSESSMENT OF THE .” 2002.

16 Committee, JIC Joint Intelligence. “IRAQ’S WEAPONS OF MASS DESTRUCTION THE ASSESSMENT OF THE .” 2002

17 Cook, Robin. ““The Die Was Cast: The Dossiers Were Irrelevant”, The Independent on Sunday.” 2004.

ბუშის დოქტრინა და ძალის გამოყენების პრობლემები ამერიკის საგარეო პოლიტიკაში

ლუკა შამუგია

**სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულება**

ხელმძღვანელი: პროფესორი ლევან გიგეშიძე

აბსტრაქტი

სტატიის მიზანია შევისწავლოთ, თუ როგორი იყო პრეზიდენტ ჯორჯ უოლკერ ბუშის პოლიტიკური კურსი. ბუშის პრეზიდენტობისას გამოიკვეთა აშკარა სახელმწიფოებრივი საფრთხეები, სტატიაში კი გავცემა პასუხი, თუ რა იყო საფრთხეები და როგორი რეაქცია ჰქონდა ბუშს მათდამი. რას წარმოადგენდა „ბუშის დოქტრინა“? წარმოჩენილი იქნება სხვადასხვა მკვლევარის შეხედულება, თუ რა მთავარი პუნქტებისგან შედგებოდა „ბუშის დოქტრინა“. განხილული იქნება ბუშის და მისი ადმინისტრაციის ქმედებების გავლენა აშშ-ს საგარეო პოლიტიკაზე. სტატიაში ძირითადი აქცენტი, მახვილდება ავღანეთისა და ერაყის ომებზე. წარმოდგენილი იქნება, გარკვეული ფაქტები და მოსაზრებები, ბუშის ადმინისტრაციის ინტერესებზე ერაყის მიმართ. საბოლოოდ კი შეჯამდება, რამდენად წარმატებული გამოდგა ბუშის პრეზიდენტობა აშშ-სთვის.

საკვანძო სიტყვები: დოქტრინა, სტრატეგია და ძალის გამოყენება.

The Bush Doctrine and the Problems of the Use of Force in American Foreign Policy

Luka Shamugia

LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Baccalaureate
Direction of Defense and security

Supervisor: Professor Levan Gegeshidze

Abstract

The purpose of this article is to examine the political course of President George W. Bush. During the Bush presidency, obvious state threats were identified, and the article provides an answer to what the threats were and how Bush reacted to them. What was the Bush Doctrine? The views of various scholars on the main points of the Bush Doctrine will be presented. The impact of the actions of Bush and his administration on US foreign policy will be discussed. The main focus of the article is on the wars in Afghanistan and Iraq. Some facts and opinions on the interests of the Bush administration in Iraq will be showed. Finally, it will be summarized how successful the Bush presidency has been for the United States.

Keywords: Doctrine, strategy and use of force.

შესავალი

მსოფლიო მშვიდობა და უსაფრთხოება, ამერიკელი პრეზიდენტების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა. არც ჯორჯ უოლკერ ბუშის სურვილი იყო განსხვავებული. მის მიერ გატარებული პოლიტიკა, როგორც აშშ-ს ელიტაში, ისე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მმართველ წრეებში გარკვეულ სიმპათიასა და ამავდროულად კრიტიკასაც იწვევდა. სტატიის მიზანია, გავარკვიოთ რა საფრთხეების წინაშე იდგა აშშ ბუშის პრეზიდენტობის დროს? რა პოლიტიკას ატარებდა ბუში, ამერიკის გლობალური გავლენის შესანარჩუნებლად? ბუშის დოქტრინის შესწავლას, მრავალმა მკვლევარმა დაუთმო დრო. მათ გამოყვეს გარკვეული ელემენტები, იმის თუ რისგან შედგებოდა ბუშის დოქტრინა. სტატიაში განხილული იქნება ის ძირითადი კონცეფციები, რისგანაც შედგებოდა ბუშის დოქტრინა. ასევე თუ რა გავლენა ჰქონდა მას ამერიკის საგარეო პოლიტიკასა და მის მიერ წარმოებულ ომებზე.

ბუშის ადმინისტრაციის შეხედულებები, საგარეო საფრთხეებთან დაკავშირებით

2001 წლის იანვარში, ვიდრე ჯორჯ უოლკერ ბუშის ინაუგურაცია მოხდებოდა იგი შეხვდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორს ჯორჯ ტენეტს. მან ბუშს მიაწოდა ინფორმაცია, აშშ-ს პოტენციურ საფრთხეებზე. ჯ. ტენეტმა სამი მიმართულებით გაამახვილა ყურადღება: პირველი, ალ-ქაიდას - ტერორისტული დაჯგუფება, რომლებიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა აშშ-ს უსაფრთხოებას. მეორე მასიური განადგურების იარაღის გავრცელების საფრთხე. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აქცენტს აკეთებდა ერაყზე. მესამე ეს იყო ჩინეთი. რომლის ზრდის ტემპი და აშშ-ს მიმართ დამოკიდებულება, გარკვეულ უსიამოვნებას იწვევდა შტატებისთვის¹. სწორედ, ამ საუბარმა, განაპირობა ბუშის მიერ საგარეო საფრთხეების აღქმა.

რაც შეეხება ერაყს, ჯერ კიდევ სანამ ჯ. ბუში პრეზიდენტი გახდებოდა, მის წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ხშირად საუბრობდა შეკავების პოლიტიკაზე, რომელიც გამოირიცხავდა, ერაყში სამხედრო შეჭრას, მისი მთავარი მიზანი იყო ჰუსეინის იზოლაცია². თუმცა ბუშის გაპრეზიდენტების შემდეგ, ადმინისტრაცია დაკომპლექტდა ნეოკონსერვატებით. თავდაცვის მდივანი გახდა **დონალდ რამსფელდი**, მოადგილეები **პოლ ვულფოვიცი** და **დაგლას ფეისი**. ისინი თვლიდნენ რომ მსოფლიო მშვიდობის დასამყარებლად, აუცილებელი იყო დემოკრატიის გავრცელება. აღნიშნული, მხოლოდ სამხედრო ძალის გამოყენებით იყო შესაძლებელი³. სწორედ ამ პიროვნებების წყალობით გაჩნდა, ერაყში სამხედრო ინტერვენციის იდეა.

ბუშის პოლიტიკური კურსი

ბუშის დოქტრინის აღწერასთან მიმართებით მკვლევარები თანხმდებიან, რომ რაიმე კონკრეტული დეფინიცია არ არსებობს მის აღსაწერად, მაგრამ გამოყოფენ გარკვეულ ასპექტებს მისი აღწერისას. რობერტ რაინი და მერი ბაქლი, ბუშის დოქტრინის აღსაწერად გამოყოფდნენ ოთხ ასპექტს⁴ პირველი ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ პრევენციული ომის მნიშვნელობაზე. მეორე - ისინი ბუშის პოლიტიკას უწოდებდნენ მასიური განადგურების იარაღის და ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულ კურსს. მესამე ასპექტი ეს რეჟიმების ცვლილება იყო. მეოთხე კი დემოკრატიზაციის როლის ზრდა. ბუშმა მეორე ინაუგურაციის დროს სიტყვით მიმართა აშშ-ს მოქალაქეებს, „თავისუფლების გადარჩენა ჩვენს მიწაზე სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული, სხვათა თავისუფლების წარმატებაზე.“ ბუშის დოქტრინის ერთ-ერთი მიზანი დემოკრატიის გავრცელება გახდა, მაგრამ ეს არ იყო ახალი რამ. აღნიშნული ასპექტების მნიშვნელობის განსამტკიცებლად და განსავრცობლად მათ გამოყვეს ასევე ძირითადი წესები რაც ბუშის დოქტრინით განისაზღვრა: ამერიკის პირველობის შენარჩუნება, პრევენციული ომი, ტერორიზმთან ბრძოლა და დემოკრატიზაცია. რობერტ ჯერვისმა ბუშის დოქტრინის 4 ძირითადი ელემენტი გამოყო⁵,

პირველი ელემენტი არის ის, რომ ბუშის დოქტრინა ემყარება იმის რწმენას, რომ სახელმწიფოს შიდა რეჟიმი განაპირობებს მის საგარეო პოლიტიკას. მეორე ელემენტი ეს პრევენციული ომის მნიშვნელობა იყო. პრეზიდენტი ბუში 2002 წლის 1 ივნისში ვესტპოინტის სამხედრო აკადემიაში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა „იქამდე უნდა დავამარცხოთ მტერი, ვიდრე მათგან მომავალი საფრთხე მატერიალიზდება“⁶, ის პირდაპირ მიანიშნებდა, რომ აპირებდა პრევენციული დარტყმის მიყენებას ერაყზე. მესამე ელემენტი ეს იყო უნილათერალიზმი. ბუში მზად იყო სხვა ქვეყნების მხარდაჭერის გარეშე, დამოუკიდებლად მიემართა საჭირო ზომებისთვის, მსოფლიო მშვიდობის და სტაბილურობის დასამყარებლად. მეოთხე ელემენტი აშშ-ს პირველობა იყო, მას მიაჩნდა რომ მხოლოდ აშშ-ს შესწევდა ძალა ზემოთ აღნიშნული ელემენტების განსახორციელებლად.

2002 წლის 20 სექტემბერს გამოქვეყნდა ბუშის პირველი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია. გამოქვეყნებასთან ერთად გაჩნდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება. ერთი იძახდნენ, რომ ეს იყო შთამბეჭდავი პასუხი იმ საფრთხეების, რომელსაც აშშ იმ პერიოდში აწყდებოდა. მეორე კი აკრიტიკებდნენ რადიკალიზმის გამო, რომელიც ამ დოკუმენტში იგრძნობოდა. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ძირითადად მიმართული იყო ტერორიზმთან და მასიური განადგურების იარაღთან საბრძოლველად,

1 Daalder, Ivo, and James Lindsay. America Unbound: The Bush Revolution in Foreign Policy. Washington D.C: The Brookings Institution, 2003.

2 Rice, Condoleezza. <https://www.foreignaffairs.com/articles/2000-01-01/campaign-2000-promoting-national-interest>. 11 1, 2000. Campaign 2000: Promoting the National Interest. Foreign (accessed 12 07, 2021).

3 Jazzer, Al. <https://www.aljazeera.com/news/2021/9/10/decades-after-9-11-what-became-of-the-uss>. 09 10, 2021

4 Singh, Robert, and Mary Buckley. "Key Elements." In The Bush Doctrine. 2005.

5 Jervis, Robert. "Understanding the Bush Doctrine." 2003.

6 "Whitehouse.archives." <https://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2002/06/20020601-3.html>. 06 1, 2002. (accessed 12 3, 2021).

თავისუფალი ბაზრის განვითარებას.

თავდაპირველად უშუალოდ ერაყის მიმართ არსებობდა ოთხი ძირითადი მიდგომა. პირველი შეკავების პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც ბუშის საპრეზიდენტო დაპირება იყო. მეორე - შეკავების პოლიტიკა და ამის პარალელურად ერაყის ოპოზიციური ძალების გაძლიერება. ამ საკითხთან დაკავშირებით, აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველმა უსაფრთხოების სექტორში, კონდოლიზა რაიზმა შეიმუშავა „**ერაყის განთავისუფლების სტრატეგია**“, რომლის დანიშნულება იყო, აშშ-ს დახმარება ერაყის ოპოზიციური ძალებისადმი და მათი იმ დონეზე გაძლიერება, რომ ერაყის მმართველი **სადამ ჰუსეინი** ჩამოეშორებინათ⁷. თუმცა, ეს გეგმა თავიდანვე არ იყო რელევანტური, რადგან აშკარა იყო, რომ სადამი იმდენად ცენტრალიზებულად მმართავდა, ერაყს მის მიერ აღნიშნული ძალების დაშოშმინება, უფრო მარტივი იქნებოდა, ვიდრე სადამის ჩამოგდება. მესამე მიმართულება ეს ერაყის დაყოფა იყო. ერაყის ჩრდილოეთში იყვნენ სადამის წინააღმდეგ ამბოხებული ქურთები, ასევე ისინი თვლიდნენ რომ შიიტური და ქურთული ძალების გამოყენებით, შესაძლებელი იყო ერაყის სამხრეთითაც აჯანყების მოწყობა და გამოყოფა. ამის შემდეგ სადამი გახდებოდა არა ერაყის, არამედ ბაღდადის მმართველი და მისი ძალაც უმნიშვნელო გახდებოდა. მეოთხე და ყველაზე აგრესიული ერაყში სამხედრო შენაერთებით შესვლა განიხილებოდა⁸.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა, ნეოკონსერვატორებს მიცა საშუალება თავიანთი სურვილი სიცხადეში მოეყვანათ. ბუში დაზვერვის სამსახურის წევრებთან დიალოგში პირადაპირ იძლეოდა, მითითებას მოეპოვებინათ სამხილი, რომ სადამის ხელიც ერია აღნიშნულ ტერაქტში. თუმცა 11 სექტემბრის ტერაქტი, ალ ქაიდას და მისი ლიდერის ბილ ადენის სახელს უკავშირდებოდა. ბუშმა ტერაქტიდან მალევე, მისი რიტორიკა შეცვალა და აშშ-ს ათწლოვანი ხედვა „ყველაფერი კომუნიზმის წინააღმდეგ“, ჩაანაცვლა „ყველაფერი ტერორიზმის წინააღმდეგით“⁹. ის სიტყვით გამოსვლისას იძახდა, რომ „ნებისმიერი ტერორისტი და ის ვინც ტერორისტებს რაიმე სახის დახმარებას უწევს, სათანადოდ დაისჯება“¹⁰. აშშ-მ მოიპოვა გაეროს მხარდაჭერა, ავღანეთზე იერიშის მისატენად. ავღანეთს, ამ პერიოდისათვის განაგებდა **თალიბანი**, რომელსაც შეფარებული ყავდა ტერაქტის ავტორი ბილ ადენი. მათ მიცეს გარკვეული ვადა თალიბანს, აღნიშნული პიროვნების გადმოსაცემად. უარის შემდეგ კი სამხედრო იერიშიც მიიტანეს. აღნიშნულ მისიაში, მწვანე ბერეტები და სხვადასხვა სპეც ჯგუფები იღებდნენ მონაწილეობას, რომლებიც „ცხენებზე ამხედრებულები“, მოიპოვებდნენ ამბოხებულთა კოორდინატებს და აშშ-ს საფრენი აპარატები წერტილოვან დარტყმებს აყენებდნენ მოცემულ ტერიტორიებზე განლაგებულ ჯგუფებს¹¹. ავღანეთის მიუხედავად აქტუალურობას არ კარგავდა ერაყი.

ბუშის პოლიტიკის მომხრეები და მოწინააღმდეგეები

ბუშმა დაიწყო თანამოაზრეების მოძიება. ყველაზე მნიშვნელობანი მოკავშირე, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **ტონი ბლეერი** გახდა. რაც შეეხება ქვეყნის შიგნითა ელიტას, ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი და თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი წარმოადგენდნენ ყველაზე გავლენიან თანამოაზრეებს. ერაყის მიმართ ბუშის, ჩეინის და რამსფელდის ინტერესები გარკვეული სურვილების გამო იყო გამოწვეული. კერძოდ, ბუშს სურდა საკუთარი აუტორიტეტის ამაღლება, ფრენსისი ფუკუიამა მის სურვილს, რომ სამხედრო იერიში მიეტანა ერაყის მიმართ მანიაკალურსაც კი უწოდებდა. რაც შეეხება ჩეინს, ის იყო ნავთობკომპანიის „ჰელიბერტონის“ დირექტორი, შესაბამისად შეიძლება ვივარაუდოთ რომ, მისი მთავარი მიზანი ნავთობს უკავშირდებოდა, თუ გავიხსენებთ მის სიტყვებს „იქ უნდა წავიდეთ, სადაც ნავთობია“¹².

რაც შეეხება რამსფელდს მისი ხედვა პირდაპირ მიმართული იყო „სამხედრო საქმის რევოლუციისკენ“, მას სურდა მოეხდინა მაქსიმალურად სამხედრო ტექნოლოგიების „გათანამედროვეება“ და გამოეყვანა ერაყზე. აღნიშნულით, აშშ-ს სამხედრო სიძლიერის დემონსტრაციას მოახდენდა. სწორედ ამდაგვარი დემონსტრაციით განახორციელებდა, „**შოკისა და შიშის სიგნალს**“. ამ ტერმინში იგულისხმება, რომ ერაყი იქნებოდა მაგალითი, თითოეული „ერჩი“, სახელმწიფოსთვის თუ დაჯგუფებისთვის და აღძრავდა მათში შიშს, ამერიკის სამხედრო სიძლიერისადმი¹³. ჰენრი კისინჯერიც რამსფელდის აზრზე იყო „რადგან ავღანეთი არ იყო საკმარისი, ერაყის ომი კიდევ უფრო დიდი მაგალითი და გზავნილია“¹⁴.

რაც შეეხება მოწინააღმდეგეებს, შტაბის უფროსს, გენერალ ფრიკ შინესკის მიაჩნდა რომ, ერაყში სადამის რეჟიმის ჩამოშორების შემდეგ, საჭირო იყო ათი ათასობით ჯარისკაცის მობილიზაცია, რათა შეენარჩუნებინათ უსაფრთხოება. თუმცა ვოლფოვიცი, არ იზიარებდა მის აზრს, ის ცდილობდა რომ მაქსიმალურად მცირე კონტიგენტით შეენარჩუნებინა უსაფრთხოება. როდესაც დაგეგმარებიდან, უშუალოდ მოქმედებამდე მივიდა საქმე, ერაყის უსაფრთხოების დაცვა ვერ მოახერხა აშშ-ს მცრიერიცხოვანმა ჯარებმა, რის გამოც შინესკის ჯერ საყვედური გამოუცხადეს და შემდეგ თანამდებობიდან გადააყენეს¹⁵. აქ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მთავრობა, საკმაოდ არაკეთილსინდისიერად მუშაობდა. რაც შეეხება რეალისტ მეცნიერებს: ჯონ მერშაიმერს და სტივენ უოლტს. ისინი ვერ ხედავდნენ ამ ომის აუცილებლობას, მათ მიაჩნდათ რომ ის საფრთხეები რომელსაც ბუშის ადმინისტრაცია მიაწერდა ერაყს, გადაჭარბებული იყო.

7 Rice, Condoleezza.. <https://www.nytimes.com/2003/01/23/opinion/why-we-know-iraq-is-lying.html>. 01 23, 2003. Why We Know Iraq Is Lying (accessed 12 5, 2021).

8 Gordon, Michael, and Bernard Trainor. Cobra II :The Inside Story of the invansion and Occupation of Iraq. London: Atlantic books, 2007.

9 Jentelson, Bruce. "American Foreign Policy." 553. Tbilisi: Iliauni Publishing, 2015.

10 Bush, George Walker. "https://georgewbush-whitehouse.archives.gov/nsc/nss/2002/nss3.html." 09 14, 2001. National Security Strategy (accessed 12 3, 2021).

11 Witte, Griff. <https://www.britannica.com/event/Afghanistan-War>. 08 16, 2021. (accessed 12 07, 2021).

12 Ricks, Thomas. "Fiasco: The American Military Adventure in Iraq." New York: Penguin, 2006.

13 Gordon, Michael, and Bernard Trainor. Cobra II :The Inside Story of the invansion and Occupation of Iraq. London: Atlantic books, 2007.

14 Kissinger, Henry. <https://www.henryakissinger.com/eulogies/100803/>. 10 8, 2003. Remembrances: Fritz Kraemer (accessed 12 2, 2021).

15 Jentelson, Bruce. "American Foreign Policy." 575. Tbilisi: Iliauni Publishing, 2015.

ძალის გამოყენების პრობლემები

რაც შეეხება აშშ-ს პოზიციას საერთაშორისო ასპარეზზე ბუშის მმართველობისას. აშშ-ს ერთ-ერთი მიზანი, სამხედრო ძალის სიძლიერის დემონსტრაცია, უარყოფითი ხასიათით წარიმართა. ავღანეთის და ერაყის ომებმა აჩვენა, რომ აშშ-ს სიძლიერე არ იყო უსაზღვრო. შესაბამისად, მათ არათუ სიძლიერის დემონსტრაცია, არამედ მათი სისუსტეების დემონსტრაცია მოახდინეს, რითაც ანტიამერიკულ ძალებს, მოტივაცია მიეცათ. ბუშის და ზოგადად აშშ-ს ისტორიული მმართველების მთავარი ლოზუნგი „მშვიდობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა“¹⁶, დაკნინდა. სწორედ ბუშმა დაანგრია საერთაშორისო მშვიდობა, როდესაც ერაყში, გაეროს მხარდაჭერის გარეშე მოახდინა ინტერვენცია. მათმა თავდასხმამ ტერორისტების საყრდენ ქვეყნებში, არათუ აღმოფხვრა მათი მოძრაობა, არამედ მიმოფანტა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, რითაც კიდევ უფრო გართულდა ტერორისტების შეკავება. მათ არათუ კრაზანის ბუდე გაანადგურეს, არამედ გამორევეს ამ ბუდიდან კრაზანები. ბუშის კამპანიამ დააკნინა ეკონომიკაც. ერაყში მიმდინარე არეულობამ, ნავთობის ფასების მკვეთრი ცვლილება გამოიწვია. გაიზარდა ნავთობის ფასი, რაც ამერიკის მოსახლეობაზე ძალიან უარყოფითად აისახა, არა მხოლოდ აშშ-ს არამედ მთელ მსოფლიოზე. განსაკუთრებით ერაყის, ისედაც დაუძლურებული მოსახლეობა, კიდევ უფრო დიდ სადარდელოში აღმოჩნდა.¹⁷

ყველაზე მთავარი საკითხი დემოკრატიზაცია, ბუშის სურვილი მსოფლიოს ნებისმიერ კუნჭულში გაეცეცლებინა დემოკრატია და ლიბერალური რეჟიმი, ვერ შესრულდა. არათუ ვერ შესრულდა, არამედ ის ვინც აშშ-ს მოწინებთ და სიმპატიით უყურებდა ნეგატიურად განეწყო ბუშის რადიკალური მმართველობისადმი. მის მოწინააღმდეგე ქვეყნებს რუსეთს, ჩინეთს და სხვებს, მიეცათ ამერიკის დისკრედიტაციის სათანადო ფაქტები. გუანტანამოსა და აბუგრების ციხის წამების ამსახველმა ფაქტებმა და ფოტოებმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა აშშ-ს აუტორიტეტს.

დასკვნა

საბოლოოდ, რომ შევაჯამოთ პრეზიდენტ ჯორჯ უოლკერ ბუშის მმართველობა, საკმაოდ რადიკალურ მეთოდებს მიმართავდა. რაც ყველაზე მეტად ერაყის მიმართ გამოიხატა. მისი შიშები, ერაყის მასიური განადგურების იარაღთან დაკავშირებით, ძალიან სუბიექტური იყო. ბუშის დოქტრინის ოთხი მნიშვნელოვანი ელემენტი გამოიკვეთა: პირველი-ტირანული რეჟიმების დამხობისკენ სწრაფვა, მეორე-პრევენციული ომი, მესამე-უნილატერალიზმი და მეოთხე-აშშ-ს პირველობა. ბუშის და მისი ადმინისტრაციის ხედვები საერთო მიზანზე ერთიანდებოდა, რასაც ერაყი წარმოადგენდა. სურვილები თითოეულს სხვადასხვაგვარი ჰქონდა, მიზანი კი ერთი, ერაყზე თავდასხმა. ბუშის ქმედებები „მსოფლიო მშვიდობის და სტაბილურობის“ დასამყარებლად, უკუშედეგით დასრულდა, მან არათუ გააუმჯობესა აშშ-ს საგარეო როლი, არამედ პირიქით დაკნინდა. რითაც აშშ-ს ავტორიტეტი ძალიან შეირყა.

გამოყენებული ლიტერატურა

Bush, George Walker. “<https://georgewbush-whitehouse.archives.gov/nsc/nss/2002/nss3.html>.” 09 14, 2001. National Security Strategy (accessed 12 3, 2021).

—. “Whitehouse.archives.” <https://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2002/06/20020601-3.html>. 06 1, 2002. (accessed 12 3, 2021).

Bush, George Walker; . “<https://georgewbush-whitehouse.archives.gov/nsc/nss/2002/>.” 09 2002. (accessed 12 08, 2021).

Daalder, Ivo, and James Lindsay. America Unbound: The Bush Revolution in Foreign Policy. Washington D.C: The Brookings Institution, 2003.

Gordon, Michael, and Bernard Trainor. Cobra II :The Inside Story of the invansion and Occupation of Iraq. London: Atlantic books, 2007.

Janskey, David. <https://www.bbc.com/news/world-us-canada-35511425>. 02 6, 2016. (accessed 12 4, 2021).

Jazzera, Al. <https://www.aljazeera.com/news/2021/9/10/decades-after-9-11-what-became-of-the-uss>. 09 10, 2021.

Jentelson, Bruce. “American Foreign Policy.” 553. Tbilisi: Iliauni Publishing, 2015.

Jervis, Robert. “Understanding the Bush Doctrine.” 2003.

Kissinger, Henry. <https://www.henryakissinger.com/eulogies/100803/>. 10 8, 2003. Remembrances: Fritz Kraemer (accessed 12 2, 2021).

Rice, Condoleezza. <https://www.foreignaffairs.com/articles/2000-01-01/campaign-2000-promoting-national-interest>. 11 1, 2000. Campaign 2000: Promoting the National Interest. Foreign (accessed 12 07, 2021).

—. <https://www.nytimes.com/2003/01/23/opinion/why-we-know-iraq-is-lying.html>. 01 23, 2003. Why We Know Iraq Is Lying (accessed 12 5, 2021).

Ricks, Thomas. “Fiasco: The American Military Adventure in Iraq.” New York: Penguin, 2006.

Singh, Robert, and Mary Buckley. “Key Elements.” In The Bush Doctrine. 2005.

Witte, Griff. <https://www.britannica.com/event/Afghanistan-War>. 08 16, 2021. (accessed 12 07, 2021).

16 Bush, George Walker. “<https://georgewbush-whitehouse.archives.gov/nsc/nss/2002/nss3.html>.” 09 14, 2001. National Security Strategy (accessed 12 3, 2021).

17 Jentelson, Bruce. “American Foreign Policy.” 583. Tbilisi: Iliauni Publishing, 2015.



სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ISBN 978-9941-8-4120-0